ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში
NEEDS OF TRANSGENDER PERSONS IN HEALTHCARE

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი / POLICY PAPER

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP
WISG
www.women.ge

ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები
ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
(საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი)

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ, პროექტის – „ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის კვლავმინიჭების პროცედურებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ - ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერები არიან Kvinna till Kvinna, „ქალთა ფონდი საქართველოში“ და ILGA Europe. / This public policy document was prepared by Women's Initiatives Supporting Group (WISG) within the frames of the project "Improvement of accessibility of transgender persons to gender reassignment procedures". This project is financially supported by Kvinna till Kvinna, Women's Fund in Georgia and ILGA Europe.

ავტორები / Authors : ეკატერინე აღდგომელაშვილი / Ekaterine Aghdgomelashvili

ნათია გვიანიშვილი / Natia Gvianishvil

თათული თოდუა / Tatuli Todua

ციალა რატიანი / Tsiala Ratiani

დიზაინი და დაკაბადონება/ Design and layout: ე. წერეთელი / E. Tsereteli

რედაქტორი / Editor: მ. კალანდაძე / M. Kalandadze

მთარგმნელი / Translator: ე. გლურჯიძე / E. Glurjadze

დაბეჭდილია / Printed: შპს „პეტიტი“ / Petite Ltd

© ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2015

Women's Initiatives Supporting Group, 2015

www.women.ge

ISBN 978-9941-0-7572-8

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა WISG-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში წყაროს მითითებით / No part of this publication may be used or reproduced in any manner whatsoever without written permission from WISG except in the case of brief quotations embodied in critical articles and reviews.

ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

(საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი)

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“
WISG
თბილისი, 2015

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲚᲘ 7

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ 11

ტრანსფობია და დისკრიმინაცია 11

სამართლებრივი გარემო 11

სოციალური გარემო და ტრანსფობია 12

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ 13

გენდერის სამართლებრივი აღიარება 16

ჯანმრთელობის დაცვის უფლება 20

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სტიგმა 20

ტრანსსენსიტიური სამედიცინო მომსახურება 22

ფინანსური ხელმისაწვდომობა 26

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უფლება 28

ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲔᲑᲘ 38

ტრანსფობია და დისკრიმინაცია 38

გენდერის სამართლებრივი აღიარება 40

ჯანმრთელობის დაცვის უფლება 44

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე დისკრიმინაციის გარეშე 44

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ/ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ 55

გენდერის სამართლებრივი აღიარება 57

უფლება ჯანდაცვის უმაღლეს სტანდარტზე 58

ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ 60

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ 70

შესავალი

ჯანმრთელობაზე ადამიანის უფლება მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია აღიარებული. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს: *„ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანისამოსის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“.* საერთაშორისო სამართლის მთელ სპექტრში, ჯანმრთელობის უფლების ყველაზე უფრო სრული მუხლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტშია მოცემული. ამ პაქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ: *„თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე“*, ხოლო მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია ზომები, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის უფლება აღიარებულია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (ICERD) მე-5 ე) მუხლში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) 11.1. ვ) და მე-12 მუხლებში და ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) 24-ე მუხლში. ჯანმრთელობის უფლება დაცულია ადამიანის უფლებების რეგიონულ ხელშეკრულებებში, როგორიცაა ევროპის სოციალური ქარტია (მუხლი 11), ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (მუხლი 16) და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის დამატებითი ოქმი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა სფეროში (მუხლი 10). ანალოგიურად, ჯანმრთელობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებების კომისიის მიერ, ასევე 1993 წლის ვენის დეკლარაციასა და სამოქმედო პროგრამაში და სხვა ხელშეკრულებებში.[1]

1 საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“.

სხვა სოციალური და ეკონომიკური დეტერმინანტების გარდა, როგორებიცაა უმუშევრობა და გაჭირვებული მატერიალური მდგომარეობა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ჯანმრთელობის სტატუსზე გავლენას ახდენს მარგინალიზაცია, სოციალური გარიყვა და სტიგმა. *„საჭიროა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც განიხილავს ჯანმრთელობის სოციალურ და ეკონომიკურ დეტერმინანტებს, მათ შორის დისკრიმინაციას, რათა მოხდეს უმცირესობათა მოსახლეობაში გაბატონებული უთანასწორობის გადაჭრა ჯანმრთელობის სტატუსსა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით“.*[2]

სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ჯანდაცვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ხშირად ირღვევა სხვადასხვა მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ტრანსგენდერ, ინეტრსექსუალ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს ეხებათ[3]. ისინი ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას ჯანდაცვის სერვისების მიღების დროს.

წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობის კონცეფცია არაა შევიწროვებული მხოლოდ ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო პროცედურებით. როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია განმარტავს, „ჯანმრთელობა არის ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის ერთიანი მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების არქონა.[4]“ ამგვარად, ჩვენ მიერ შემუშავებულ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მოიცავს სერვისების უფრო ფართო სპექტრს, როგორებიცაა დაცვა და რესურსები, რომელიც ტრანს ადამიანებს სჭირდებათ ჯანმრთელი ცხოვრებისათვის უსაფრთხო საზოგადოებაში. ეს მოიცავს პირველად და სხვა ზრუნვის სერვისებს, ისევე, როგორც ჯანმრთელობის სოციო-ეკონომიკურ დეტერმინანტებს: გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა და მიმღეობა საზოგადოების მხრიდან.

პრობლემები, რომელთა წინაშეც დგანან ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში, საკმაოდ მწვავეა: გენდერის სამართლებრივი აღიარებისა

ზოგადი კომენტარი №14 (22-ე სესია, 2000) (UN doc. E/C.12/2000/4) უფლება ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი)

2 რესურსები ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე. ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო. თბილისი, 2014 წ.

3 Hammarberg, T. Human Rights and Gender Identity. CommDH/IssuePaper(2009)2. CoE,

4 WHO’s definition of health.

და სქესის კვლავმინიჭების საკითხებთან დაკავშირებული პროცესების დაურეგულირებლობა, რაც, თავის მხრივ, ზრდის უმუშევრობისა და სიღარიბის რისკს, ხელს უწყობს ჯგუფის წევრთა მარგინალიზაციას და მოწყვლადს ხდის მათ საზოგადოებაში არსებული ტრანსფობიური დანაშაულების მიმართ. თავის მხრივ, სტიგმა, უმუშევრობა, სიღარიბის რისკები, კიდევ უფრო ხელმიუწვდომელს ხდის ჯანდაცვის იმ სერვისებით სარგებლობას, რომელთა გავლაც აუცილებელია გენდერის ლეგალური აღიარებისათვის. ამგვარად, იქმნება ერთგვარი მანკიერი წრე, რომლიდან თავის დაღწევაც ძალიან ძნელია.

ამასთან, გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სამედიცინო ტრანზიციის პროცესის (პირის ფიზიკური მახასიათებლების მის გენდერთან შესაბამისობაში მოყვანა) ერთმანეთზე მიბმა ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. ამგვარი პრაქტიკის შემთხვევაში სრულიად იგნორირებულია ტრანსგენდერობის ფართო სპექტრი[5] და ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება არასასურველ და საჭიროებას მოკლებულ სამედიცინო ჩარევებსა (ბევრ ქვეყანაში ეს მოიცავს სტერილიზაციას) და გენდერის სამართლებრივ აღიარებას შორის.[6]

წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შეფასება, პრობლემური საკითხების გამოვლენა და მათ დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავება რელევანტური ინსტიტუციებისათვის.

დოკუმენტის შესავალი ნაწილი ასახავს ქვეყანაში ტრანსგენდერ ადამიანთა მდგომარეობის ზოგად სურათს; როგორც სამართლებრივ გარემოს, ისე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ტრანსგენდერ პირთა მიმართ საქართველოში; გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ტრანსგენდერ პირთა საჭიროებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. არსებული მდგომარეობის მიმოხილვისას გამოყენებულია როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, ისე - საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და შეფასებები.

თემის სირთულიდან და საკითხის ინოვაციურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია აღნიშნული საკითხის ყველა ასპექტის განხილვა. შესაბამისად, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ რამდენიმე ძირითად საკითხზე, რომლებიც დაუყოვნებლივ მოქმედებასა

5 სამედიცინო ჩარევის თვალსაზრისით, პროცესი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ მცირე მასშტაბის ჩარევას, თერაპიას, ისევე როგორც სქესის კვლავმინიჭების ქირურგიულ ოპერაციას

6 WISG-ის ILGA-Europe-სა და TGEU-ს მიერ ევროპის სოციალური ქარტიისათვის მომზადებული ჩრდილოვანი ანგარიში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ. 2014.

და რეაგირებას მოითხოვს. რეკომენდაციების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და სხვა ქვეყნებში არსებული საუკეთესო პრაქტიკები.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს შორის ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ბავშვები და მოზარდები წარმოადგენენ, წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი არ ფარავს არასრულწლოვან ტრანსგენდერ ადამიანთა/ინტერსექსი ადამიანების საჭიროებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჯგუფისა და საკითხის სირთულის თვალსაზრისით, თემა ცალკე კვლევას საჭიროებს. წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის პირველი რიგის ამოცანაა გენდერის ლეგალური აღიარებისა და ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების იმგვარად გამიჯვნა, რომ ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, მიღწეული იქნას მაქსიმალური შესაბამისობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან. ამასთან, გადაიდგას პირველი ნაბიჯები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ჯანდაცვის უმაღლეს სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

პრობლემის აღწერა

ტრანსფობია და დისკრიმინაცია

სამართლებრივი გარემო

დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ასახული და გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციითა[7] და მოქმედი კანონმდებლობით. კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც 2014 წლის 7 მაისს შევიდა ძალაში, დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველთა შორის მითითებულია „სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა“.[8]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის[9] მიხედვით, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური ან ენობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულად ითვლებოდა. 2012 წლის 27 მარტს საფუძველთა ჩამონათვალს დაემატა პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ მუხლით არც ერთი საქმე არაა კვალიფიცირებული. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, რომლებიც ჩადენილია სექსუალური და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დღემდე არ ხდება ლგბტ პირთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ბუნებისა და პრევალირების შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება[10].

შრომის კანონთა კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე[11] (აკრძალვის საფუძვლებში გენდერული იდენტობა მითითებული არაა).

---

7 საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორებიცაა, მაგალითად, პირის ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, სქესი და სხვ

8 საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

9 სსკ 53-ე მუხლის 3’ ნაწილი.

10 დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შსს მინისტრმა 2014 წლის 26 დეკემბერს ახალი მითითებები გამოსცა, რომლის მიხედვითაც, შსს-ს საგამოძიებო დანაყოფებს დაევალათ: შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ (სსკ 53-ე მუხლის 31 ნაწილი) მიუთითონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულაში“. სამინისტროს ინფორმაციით, მითითება სიძულვილის ნიადაგზე და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების შესაბამისი მუხლით (საქართველოს სსკ-ის 142-ე, 142 პრიმა, 142 პრიმა 2, 155-ე და 156-ე მუხლები) გამოძიების დაწყების ვალდებულებას წარმოშობს, თუ სახეზეა ამ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-ministrma-diskriminatsiis-preventsii-sa-da-am-nishnit-chadenil-samartaldarghvevebze-efeqtiani-reagirebis-miznit-shss-s-danakofebistvis-akha-li-direqtivebi-gamostsa/7565

11 საქართველოს შრომის კოდექსი. მუხლი 2(3).

მიუხედავად ზოგადი აკრძალვისა, კანონი სერიოზულ ხარვეზებს შეიცავდა, რაც დისკრიმინაციის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა პირის სამსახურში აყვანისა და დათხოვნის ეტაპებზე. 2013 წელს შესაბამისი ცვლილების საფუძველზე ეს ხარვეზი აღმოიფხვრა[12].

სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველი, ფიგურირებს საქართველოს კანონშიც ჯანმრთელობის დაცვის შესახებ[13]. საქართველოს კანონი „პაციენტთა უფლებების“ შესახებ, ასევე კრძალავს პაციენტთა დისკრიმინაციას რამე ნიშნით: „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტი–კური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია“.[14] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს და მისმა დარღვევამ, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება, გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა[15].

2014 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა შვიდწლიანი სტრატეგია და ორწლიანი სამოქმედო გეგმა (2014-15) ასევე მოიცავს სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიუხედავად შესამჩნევი პროგრესისა, საკანონმდებლო დონეზე კვლავაც რჩება ხარვეზები, რაც ლგბტ და, განსაკუთრებით, ტრანსგენდერ ადამიანებს არათანასწორ პირობებში აყენებს. უმრავლეს შემთხვევაში კანონი არ არის აშკარად დისკრიმინაციული, მაგრამ მათი გამოყენება იწვევს დისკრიმინაციულ შედეგებს პრაქტიკაში და მნიშვნელოვნად ზღუდავს ლგბტ ადამიანების თავისუფლებებსა და უფლებებს.[16] ამგვარი შეზღუდვები განსაკუთრებულად თვალშისაცემი და საგანგაშოა ტრანსგენდერებთან მიმართებაში.

სოციალური გარემო და ტრანსფობია

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა სიღრმისეული კვლევა, რომელიც ასახავდა საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ლგბტ

---

12 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებები შრომის კოდექსში (729-IIს).

13 იხ. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

14 საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების“ შესახებ. მუხლი 6.

15 სსკ. 142-ე მუხლი

16 ა. ნაცვლიშვილი., ე. აღდგომელაშვილი. CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG. თბილისი. 2012.

ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ, ჰომო- და ტრანსფობიის გამოვლენის ხარისხსა და სპეციფიკას. დღემდე ჩატარებული კვლევების უმეტესობა, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებებთან/საკითხებთან და/ან ჯგუფებთან მიმართებასა და განწყობათა ცვლილების დინამიკას სწავლობს (მათ შორის, ჰომოსექსუალთა მიმართ), არ იძლევა ამგვარი ჩაღრმავების საშუალებას. თუმცა, კვლევების შედეგები ასახავს ზოგად ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ლგბტ ადამიანები დღემდე რჩებიან ჯგუფად, რომლის მიმართაც საზოგადოება ყველაზე ნაკლებ მიმღეობას ამჟღავნებს სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებთან შედარებით.[17]

იმავეს ადასტურებს ჯგუფის შიგნით ჩატარებული კვლევებიც: ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა შეფასებით, საზოგადოებაში მათ მიმართ დამოკიდებულება უფრო ნეგატიურისკენ იცვლება. 2012 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლიდა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფის მიმართ არატოლერანტულია, 2006 წელთან შედარებით 57%-დან 78%-მდე გაიზარდა[18], 2014 წელს კი ამ ნიშნულმა 92%-ს მიაღწია. გამოკითხვის მიხედვით, ჯგუფის წევრთა აზრით, საზოგადოება ყველაზე ნაკლებ მიმღეობას სწორედ ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ამჟღავნებს - 97% [19].

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ

საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური განწყობა პირდაპირ აისახება ჯგუფის წევრებზე. ლგბტ ადამიანთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტები, როგორებიცაა ძალადობა ლგბტ უფლებადამცველთა მიმართ[20], ფიზიკური და ფსიქოლოგიური

17 ე. აღდგომელაშვილი. „ჰომოფობიური სიძულვილის ენა და რეგულაციის მექანიზმები". როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა? საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2012

18 2006 წელს ფონდ „ინკლუზივის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა 57,5% საზოგადოების დამოკიდებულებას აფასებდა, როგორც არატოლერანტულს; 24,2% - როგორც ინდიფერენტულს, 10% მიიჩნევდა, რომ საზოგადოება ტოლერანტული იყო. 2012 წლის კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თვლის, რომ საზოგადოება მათ მიმართ არატოლერანტულია 78%-მდე გაიზარდა. გამოკითხულთა 15% დამოკიდებულებას აფასებს, როგორც „უფრო არატოლერანტული, ვიდრე ტოლერანტული", 4% - „უფრო ტოლერანტული, ვიდრე არატოლერანტული", კითხვას არ უპასუხა გამოკითხულთა 3%-მა, ხოლო იმ ადამიანების რიცხვი ვინც საზოგადოების დამოკიდებულებას აფასებს, როგორც ტოლერანტულს, 1%-ზე ნაკლებია. ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG.თბილისი. 2012.

19 „არატოლერანტულია - 92% (ლბ-ს მიმართ - 81%, გბ-ს მიმართ - 98%, ტრანსგენდერთა მიმართ - 97%), ტოლერანტულია - 4% (ლბ - 12%, გბ - 1%), არ ვიცი - 4%". ე. აღდგომელაშვილი. ლგბ ჯგუფის საჭიროებების კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ტექნიკური ანგარიში. WISG. 2014

20 A Pending Case versus Georgia before the ECtHR about police homophobic behaviour and violation of

ძალადობის ფაქტები, სახელმწიფოს უმოქმედობა და/ან არაადეკვატური რეაგირება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, სიძულვილის ენის გამოყენება და სხვ. ასახულია როგორც ადგილობრივი ლგბტ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებში, ისე სახალხო დამცველისა[21] და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ანგარიშებში[22].

როგორც 2012, ისე 2014 წელს ტრანსგენდერ ადამიანებთან ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა სისტემატურად განიცდის ფსიქოლოგიურ ძალადობას. ძალადობა შეიძლება, მომდინარეობს როგორც უცხო ადამიანების მხრიდან, ისე – ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან. ზეწოლა, რომელსაც ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოებისგან განიცდიან, მუდმივია და განსაკუთრებით მწვავე ფორმებს იძენს, თუკი ტრანსგენდერი ინდივიდი ვერ ახერხებს (ან არ სურს) ჩვენს კულტურაში მიღებული ორი (ქალის და კაცის) გენდერული როლიდან რომელიმე „სრულყოფილად“ აითვისოს. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ძალადობისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ტრანსგენდერ ადამიანებს უწევთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩინდნენ იმ გარეგნობითა და სოციალური როლით, რომელიც არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაღქმას. ეს განსაკუთრებით ეხებათ ტრანსგენდერ ქალებს, რომლებიც, ტრანსგენდერ მამაკაცებთან შედარებით, უფრო ხილვადები არიან საზოგადოებისათვის.[23]

2014 წელს ჩატარებულმა ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებიდან 9 (N=14) ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ერთხელ მაინც გამხდარა ფიზიკური ძალადობის ობიექტი თავისი გენდერული იდენტობის გამო. მაშინ, როცა მონაწილეთაგან სამს ფიზიკური ძალადობა სამი ან მეტი წლის წინ განუცდია (ორს – ქუჩაში, ხოლო ერთს – ოჯახის წევრის მხრიდან ბავშვობაში) 6-ს ამგვარი ძალადობა გასული ორი წლის განმავლობაში აქვს გადატანილი. ერთ-ერთი მათგანი ბოლო ორი წლის განმავლობაში 4-ჯერ გახდა ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი ქუჩაში[24].

---

fundamental rights (Aghdgomelashvili and Japaridze v Georgia., App. no. 7224/11)

21 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013.

22 Hammarberg T., GEORGIA IN TRANSITION. Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges. 2013; ENP Country Progress report – Georgia. 2012, 2013 ; US State Department Human Rights Report: Georgia. 2011, 2012 and 2013; Country reports prepared recently for the Council of Europe Human Rights Commissioner and the EU Fundamental Rights Agency', Hate Crimes in the OSCE Region – Incidents and Responses. Annual report 2011.; Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity. Legal Report and sociological reports: Georgia. COWI. 2010.

23 ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2014

24 . Ibid

გენდერის ლეგალურ აღიარებასთან დაკავშირებული საკითხების დაურეგულირებლობის გამო, საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანები ცდილობენ, მოძებნონ ისეთი არაოფიციალური ან დროებითი სამუშაო, სადაც არ მოუწევთ პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა. ამის გამო ხშირად თანხმდებიან დაბალანაზღაურებად, არაკვალიფიციურ სამუშაო პირობებში მუშაობას. ფინანსურმა პრობლემებმა შესაძლოა, უბიძგოს კომერციულ სექსში ჩაერთონ (ეს ძირითადად ტრანსგენდერ ქალებს ეხებათ), რაც კიდევ უფრო მოწყვლადს და დაუცველს ხდის მათ მესამე პირების მხრიდან ძალადობის მიმართ[25]. სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილებაზე საუბრობენ ის რესპონდენტები, ვისაც პენიტენციალურ სისტემასთან ჰქონია შეხება[26].

ფსიქოლოგიურ ძალადობას კიდევ უფრო ფართო მასშტაბები აქვს. როგორც 2012, ისე 2014 წელს გამოკითხული რესპონდენტების სრული უმრავლესობა ადასტურებს, რომ ამა თუ იმ ფორმით განიცდის ფსიქოლოგიურ ძალადობას როგორც უცხო ადამიანების, ისე ოჯახის წევრების, პარტნიორებისა და მეგობრებისაგან[27].

საერთაშორისო სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ეს ჯგუფი ასევე მსოფლიოს მასშტაბით განიცდის ანალოგიურ დისკრიმინაციას, თუმცა ამ დისკრიმინაციის ყველაზე შემზარავი შედეგი იმ მკვლელობების რაოდენობაა, რომელთა მსხვერპლნიც ხდებიან ტრანსგენდერი ადამიანები საკუთარი გენდერული იდენტობის გამო. 2014 წელს მსოფლიოს 28 ქვეყანაში 226 ტრანსგენდერი ადამიანი იქნა მოკლული, ხოლო 2008 წლიდან დღემდე მსოფლიოს 62 ქვეყანაში ეს რიცხცვი 1,999-ს აღწევს[28]. სამწუხაროდ, 2014 წლის 11 ნოემბერს საქართველოც შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ტრანსგენდერი ადამიანი შეიძლება, მოკლან მისი გენდერული იდენტობის გამო. [29]

ძალადობის მსხვერპლთა ერთი ნაწილი საკმაოდ ნიჰილისტურადაა განწყობილი როგორც სამართალდამცავთა, ისე უფლებადაცვითი

25 Ibid.

26 სამხრეთ კავკასიაში ტრანსგენდერებისათვის აივ-თან დაკავშირებული სერვისების მოთხოვნის, საჭიროების და ხელმისაწვდომობის შესწავლა. ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა" თბილისი. 2013.

27 ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2014.

28 Project: Trans respect versus transphobia. worldwide. http://www.transrespect-transphobia.org/en_US/tvt-project/tmm-results/tdor-2014.htm .

29 მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მიერ დასახელებული ოფიციალური მოტივი ამას საჯაროდ არ ადასტურებს, საბი ბერიანის მკვლელობის გარშემო გაჩენილი დეტალები მიუთითებს, რომ მკვლელობა სიძულვილის მოტივით შეიძლება ყოფილიყო ჩადენილი. მსხვერპლისადმი სიძულვილის ენით გაჟღენთილი გამოხმაურება, რომელიც მომხდარს მოყვა, ასევე ცხადყოფს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობას საზოგადოებაში და იმას, რომ მარგინალიზებულ ჯგუფებზე ძალადობა საქართველოში სოციალურად მიღებულ მოვლენად იქცა.

ორგანიზაციების მიმართ და თვლის, რომ ჩივილს აზრი არ აქვს (ერთ შემთხვევაში, მსხვერპლს ოჯახის წევრებმა სთხოვეს, არ მიემართა პოლიციისათვის, რადგან ინციდენტი მის საცხოვრებელ უბანში მოხდა და ოჯახის დანარჩენი წევრები საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ). ის რესპონდენტები, რომელთაც მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს და/ან უფლებადაცვით ორგანიზაციას, აღნიშნავენ, რომ მათი ძალისხმევის მიუხედავად, არც ერთ საქმეზე სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა, რაც ასევე ნეგატიურად აისახება მიმართვიანობაზე.

როგორც CM/REC(2010)5 რეკომენდაციის განხორციელების მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა[30], სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ გააჩნია ეფექტური მექანიზმი და/ან სტრატეგია, რათა ლგბტ ჯგუფის წევრებმა გადალახონ შიში და უნდობლობა სამართალდამცავთა მიმართ და ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მიმართონ პოლიციას. ადამიანის უფლებების 2013-15 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სტატისტიკის წარმოება და სამართალდამცავთა გადამზადება, თუმცა, დოკუმენტის შემუშავების ამ ეტაპზე[31] სახელმწიფოს ჯერ არ გადაუდგამს კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განსახორციელებლად.

ამგვარი პრობლემები ხელს უშლის სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების აღრიცხვასა და რეაგირებას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოსაფხვრელად ქვეყანაში.

გენდერის სამართლებრივი აღიარება

გენდერის სამართლებრივი აღიარება ტრანსგენდერი ადამიანისათვის ხშირ შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. განსხვავება ადამიანის გენდერულ თვითაღქმას/თვითგამოხატვასა და სქესის შესახებ ჩანაწერს შორის ხშირად უზღუდავს ტრანსგენდერ ადამიანებს დასაქმების, განათლების მიღებისა და შეურაცხყოფისა და დამცირების თავიდან არიდების შესაძლებლობებს. 2012 წელს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის[32] შესრულების

30 ა. ნაცვლიშვილი, ე. აღდგომელაშვილი CM/REC(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის ანგარიში. WISG თბილისი. 2012

31 2015 წლის იანვარი

32 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ CM/REC(2010)5. 2013 წელს, სახელმწიფოებმა წარადგინეს ანგარიში

მონიტორინგზე მუშაობისას ზემოაღნიშნულ საკითხზე „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ კითხვით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც საპასუხო წერილში (N.26948, თარიღი: 26.06.2012) მიუთითა, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონის „სამოქალაქო აქტების“ შესახებ 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ სქესის შეცვლა წარმოადგენს სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის ერთ-ერთ საფუძველს. ამასთან, კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება სქესის შეცვლაში.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განმარტებით[33], თუ რას გულისხმობს კანონი სქესის შეცვლაში; რა სახის დოკუმენტების წარდგენა არის საჭირო იმისათვის, რომ პიროვნების სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შევიდეს ცვლილება სქესთან, სახელთან ან/და გვართან დაკავშირებით და კონკრეტულად რომელ სამოქალაქო აქტებში არის შესაძლებელი ცვლილების შეტანა სქესთან, სახელთან ან/და გვართან დაკავშირებით:

> *“სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტით დადგენილი ცვლილება შეიძლება, განხორციელდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, პირის მიერ სქესის შეცვლის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის საფუძველზე. სქესის აღმნიშვნელ გრაფას შეიცავს დაბადების, მამობის დადგენის და გარდაცვალების აქტის ჩანაწერი. შესაბამისად, პირის მიერ სქესის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაბამის ცვლილებას შეიტანს პირის მიმართ შედგენილ ზემოხსენებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში, სახელის და/ან გვარის შეცვლის შემთხვევაში - აღნიშნული პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ყველა ჩანაწერში.*

რაც შეეხება სქესის შეცვლის/კვლავმინიჭების პროცედურებს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო წერილში[34] მითითებული იყო, რომ სქესის შეცვლის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით არ რეგულირდება. ზოგადად ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა ხორციელდება მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით, პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად, აღიარებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების

მიღწეული პროგრესის შესახებ. სახელმწიფოს მიერ მომზადებული ანგარიში შეგიძლიათ იხ. შემდეგ ბმულზე: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Others_issues/LGBT/Questionnaire/LGBT_Georgia.pdf;

33 2014 წლის 11 მარტის (N01/43812) საპასუხო წერილი

34 2014 წლის 27 მარტის N01/25617 საპასუხო წერილი

მიხედვით, საერთაშორისო მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

2014 წლის 29 აპრილის N01/35621 პასუხით გვეცნობა, რომ სქესის შეცვლის ცნობის შევსებასა და გაცემაზე უფლებამოსილია ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის, ის სამედიცინო დაწესებულებები, სადაც ხორციელდება სქესის შეცვლის/კვლავმინიჭების პროცედურებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება/ჩარევა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიღებული პასუხებიდან ნათელია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სავალდებულოა შეუქცევადი სტერილიზაციის, ჰორმონული მკურნალობისა და წინასწარი ქირურგიული პროცედურების გავლა, რათა პირმა ახალი პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღება შეძლოს. მხოლოდ სქესის კვლავმინიჭების პროცედურის სრულად გავლის შემთხვევაში პირს გააჩნია უფლება, ოფიციალურ დოკუმენტებში შეცვალოს მონაცემები სქესის შესახებ.[35] მეტიც, პირადობის ახალ მოწმობებში მითითებულია სქესი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ტრანსგენდერი პირების მდგომარეობას, განსაკუთრებით, იმ ადამიანებისას, ვინც ტრანზიციის პროცესში იმყოფება (პროცედურას წელიწად–ნახევრიდან ორ წლამდე დრო სჭირდება. ხშირად ეს პერიოდი კიდევ უფრო ხანგრძლივდება სერვისებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობის გამო).[36]

2014 წლის კვლევის მონაწილეთაგან 5-ს აქვს ძველი პირადობის მოწმობა (რომელშიც არ არის დაფიქსირებული პიროვნების სქესი), 8-ს აქვს ID ბარათი, ხოლო ერთს არ აქვს პირადობის მოწმობა და აქვს მხოლოდ პასპორტი. რესპონდენტებიდან სახელი პირადობის მოწმობაში შეცვლილი აქვს მხოლოდ სამს.

სქესის შესახებ ჩანაწერის შეუსაბამობა ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასთან გარდა პირადი დისკომფორტისა, ხშირად ხდება ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციის საფუძველი შრომით

35 იუსტიციის სამინისტროს საპასუხო წერილი. N. 26948, თარიღი: 26.06.2012.

36 ბოლო დრომდე შეუძლებელი იყო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ხელახლა აღება, რომელშიც შეცვლილი სქესი იქნებოდა მითითებული. შესაბამისი ნორმატიული აქტი კრძალავდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნებისმიერი მიზეზით ხელმეორედ გაცემას. ამგვარი პრაქტიკა ტრანსგენდერ პირებს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა, განსაკუთრებით, სამუშაოს ძიების პროცესში, როცა მათ შესაბამისი განათლების დადასტურება სჭირდებოდათ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ივნისის ბრძანების (№120/ნ) მიხედვით, რომელიც განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებას, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესს ეხება, დასაშვებად მიიჩნევა დიპლომის დუბლიკატის გაცემა, თუკი პირი წარადგენს სახელის ან/და გვარის შეცვლის ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტს.

ურთიერთობებში და იმ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, სადაც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენაა საჭირო.

საქართველოს სახალხო დამცველი 2013 წლის ანგარიშში აანალიზებს გარემოს, რომელიც ხელმიუწვდომელს ხდის ტრანსგენდერი ადამიანებისათვის გენდერის ლეგალურ აღიარებას ქირურგიული ჩარევის გარეშე, საქართველოს მთავრობას მიმართავს რეკომენდაციით:

> *„დაინერგოს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების გზით გენდერული დისფორიის დიაგნოზის საფუძველზე.*[37]

2014 წელს, WISG-მა მოამზადა ჩრდილოვანი ანგარიში ლბტ ადამიანების მდგომარეობის შესახებ CEDAW კომიტეტში წარსადგენად[38]. ანგარიში, სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა გენდერის ლეგალური აღიარების პრაქტიკას ქვეყანაში და პრობლემებს, რომლებსაც ტრანსგენდერი პირები აწყდებიან ამ პროცედურის გამო. CEDAW კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხზე და მოუწოდა სახელმწიფოს მიეღო შესაბამისი ზომები დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. კერძოდ:

[34]. კომიტეტი შეშფოთებულია:

> *...ე) ძალადობითა და შევიწროებით, რომელსაც ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალები განიცდიან; ასევე შეზღუდვებით, რომლებსაც აწყდებიან ტრანსგენდერი ადამიანები პირადობის დამადასტურებელი საბუთების მიღების დროს.*

[35]. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს:

> *... ე) მიიღოს ზომები ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ქალების მიერ განცდილ ძალადობასა და შევიწროებასთან დაკავშირებით და ასევე გააუქმოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული შეზღუდვები.*[39]

---

37 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013.

38 Natsvlishvili A., Aghdgomelashvili E., Rights of LBT Women in Georgia. Shadow Report for CEDAW. Submitted for the 58th Session. Women's Initiatives Supporting Group (WISG). 2014.

39 CEDAW/C/GEO/CO/4-5. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia. Adopted by the Committee at its fifty-eighth session (30 June – 18 July 2014).

ჰომოფობიისა და ტრანსფობიის უკიდურესად მაღალი დონე საქართველოში, ლგბტ ჯგუფის (განსაკუთრებით, ტრანსგენდერი ადამიანების) მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მაღალი მაჩვენებელი, ჯგუფის მარგინალიზაცია, გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც, თავის მხრივ, ზრდის უსახლკარობისა და სიღარიბის რისკს ჯგუფის წევრთა შორის, ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის სერვისების შესახებ კლინიკური გაიდლაინების არარსებობა, ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო პროცედურების სიძვირე, სამედიცინო პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა ზოგადად ტრანსგენდერობის/ ინტერსექსუალობის შესახებ და ჯგუფის საჭიროებებზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და სხვ., ასევე ხელს უშლის ტრანსგენდერ ადამიანებს, მოიძიონ და მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო დახმარება.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა და სტიგმა

ევროპის მასშტაბით ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების უმეტესობა არატრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის სერვისების მიღებისასაც აწყდებიან მნიშვნელოვან ბარიერებს და დისკრიმინაციულ მოპყრობას სამედიცინო პერსონალის მხრიდან[40]. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ასახულია როგორც ანტიდისკრიმინაციულ, ისე იმ კანონებსა და ეთიკურ სტანდარტებში, რომლებიც არეგულირებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს.[41] [42]

40 FRA. 2014. Being Trans in the European Union Comparative analysis of EU LGBT survey data.

41 „არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაადვადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო". საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 6. პუნქტი 1. „ექიმი მოვალეა პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რიგითობა განსაზღვროს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით". „ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 40. „ პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია" საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. მუხლი 6.

42 „ექიმი თანაბრად, თანაბარი გულისყურით და მზრუნველობით უნდა ეპყრობოდეს ყველა პაციენტს უგამონაკლისოდ . საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი: თავი „ექიმი და პაციენტი", პ. 2. „თანაბარი და სამართლიანი დამოკიდებულება პაციენტის მიმართ გულისხმობს, ერთი მხრივ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გამორიცხვას, ხოლო, მეორე მხრივ, პაციენტის ინდივიდუალურ საჭიროებათა გათვალისწინებას. დაუშვებელია ექიმის მიერ პაციენტის დისკრიმინაცია წარმომავლობის, სოციალური მდგომარეობის, აღმსარებლობის, მსოფლმხედველობის, დაავადების ან სხვა რამე ნიშნის გამო. ამასთანავე, პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების

WISG-ის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში ტრანსგენდერ ადამიანებთან ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების უმეტესობას არ განუცდია დისკრიმინაცია და უარყოფითი დამოკიდებულება ექიმების მხრიდან[43], თუმცა, ეს იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ რესპონდენტების უმეტესობა თავს არიდებს ექიმებთან მისვლას და თვითმკურნალობას ეწევა. ჩვენი კვლევის ის რესპონდენტები, რომლებიც ისეც ვერ ახერხებენ საკუთარი გარეგნობის სურვილისამებრ შეცვლას, ექიმთან მისვლის შემთხვევაში, უბრალოდ, არ ამჟღავნებენ საკუთარ გენდერულ იდენტობას[44].

ტრანსგენდერ რესპონდენტთა უმეტესობა (10, N=14) აცხადებს, რომ, მათი აზრით, საქართველოში ექიმებს ტრანსგენდერი ადამიანებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ[45]. კვლევის მონაწილეებიდან მხოლოდ 4 თვლის, რომ ექიმებს ნორმალური დამოკიდებულება აქვთ ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ექიმი „ჭკვიანი“ და „საქმეში ჩახედულია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებმა იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც, მათი აზრით, გავლენას ახდენს ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების მიღებაზე, პირველ რიგში, სწორედ სამედიცინო პერსონალის უარყოფითი დამოკიდებულება დაასახელეს.

სამედიცინო სერვისის მიმწოდებელთა უმეტესობა თვლის, რომ, ზოგადად, ექიმების უმეტესობა ნეგატიურადაა განწყობილი

გაწევისას გასათვალისწინებელია მისი ინდივიდუალური საჭიროებანი, დაკავშირებული როგორც საკუთრივ ჯანმრთელობასთან, ისე რელიგიურ, ეთნიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ სხვა პიროვნულ მახასიათებლებთან“. ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები. თავი 2.1.1

43 დისკრიმინაციის ფაქტი გაიხსენა ლინამ (25 წლის ტრანსგენდერი ქალი), რომელსაც საკუთარი გენდერული იდენტობის გამო უსიამოვნება შეემთხვა სტომოგოლოგთან: „2 წლის წინ დავდიოდი კბილის ექიმთან, სადაც მიმიყვანა ჩემმა ყოფილმა საყვარელმა ... კბილების გასასწორებლად ... და იქ დავდიოდი და მერე ამ ქალმა გაიგო ჩემზე რაღაც ... ამან უთხრა, თუ ... პრინციპში „ჩაკრასკულიც“ დავდიოდი ხოლმე იმიტომ, რომ თავისუფლად ვგრძნობდი მასთან თავს ... მარა ამ ქალმა რომ გაიგო ... ორი ვიზიტი მქონდა და მერე კიდევ უნდა მივსულიყავი - რამდენიმე კბილს ვიკეთებდი ... და იმ ჩემს მეგობარს სთხოვა, რომ ეს აღარ მოვიდესო ... თვითონ სხვა მიზეზი თქვა, მარა ამ ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ შენზე გაიგო და იმიტომო ...“; „ეკოს (36 წლის აგენდერი) თქმით, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ის ექიმთან მიდის, საკუთარ გენდერულ იდენტობაზე საუბარს ერიდება, თუმცა, მას მაინც აშტერდებიან და შენიშვნებს აძლევენ ჩაცმულობის გამო. ასეთი შენიშვნები მისთვის ექიმსაც მიუცია“. ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი, 2014.

44 ტრანსი ადამიანები, რომელთაც სამედიცინო ტრანზიცია არ გაუვლიათ, შესაძლოა, მნიშვნელოვან დისტრესს განიცდიდნენ თავიანთი სხეულის გამოჩენისას. ჯანდაცვის სპეციალისტებს ხშირად ამ მოწყვლოდობის მიმართ სენსიტიურობა აკლიათ. Transgender Health and Human Rights . Discussion Paper. UNDP. 2013

45 შაკო (19 წლის აგენდერი) გვიყვება: „ჩემმა ნათესავმა ერთხელ ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზე ისეთი რაღაცები მითხრა, ეს ავადმყოფობააო და ისე სასწაულად მელაპარაკა, რომ ... ცრემლებამდე მიმიყვანა და ... თვითონაც ექიმია და არ მგონია, რომ ექიმებს რაღაც განსხვავებული აზრი ჰქონდეთ ... თუნდაც იმიტომ, რომ ტრადიციულები არიან და რელიგიურები, ამის გამო მაინც აგრესიულები იქნებიან“. ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი, 2014.

ტრანსგენდერი (ისევე, როგორც ლგბ) ადამიანების მიმართ[46]. თუმცა, ვერც ერთი მათგანი ვერ იხსენებს ფაქტს, როცა თავად ან მისმა კოლეგამ პაციენტს უარი უთხრა მომსახურებაზე მისი გენდერული იდენტობის გამო. ამასთან, თითქმის ყველა მათგანი მიჯნავს ერთმანეთისაგან პირად განწყობებსა და პროფესიულ ეთიკას[47]. რაც შეეხება პირად დამოკიდებულებებს, შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მათი უმრავლესობა 17 (N=23) არ აძლევს თავს უფლებას, რომ პერსონალურმა დამოკიდებულებამ გავლენა იქონიოს პაციენტთან ურთიერთობაზე და ამჟღავნებს ნეიტრალურ და/ან პოზიტიურ დამოკიდებულებას ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ.

ის რესპონდენტები, რომლებიც სხვა სამედიცინო პერსონალის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე საუბრობენ, ხაზს უსვამენ, რომ, პირველ რიგში, ეს განათლების სიტემაში არსებულ ხარვეზებს, ცოდნის ნაკლებობას, არაინფორმირებულობას უკავშირდება.[48]

სპეციალისტებისინფორმირებისარასაკმარისიდონეტრანსგენდერობისა და ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის პირველადი ჯანდაცვის დონეზე და ეჭვქვეშ აყენებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირების ადეკვატურობასაც.

ტრანსსენსიტიური სამედიცინო მომსახურება

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ მარგინალიზაცია, სტიგმა და უმცირესობათა სტრესი, სხვა სოციალურ და ეკონომიკურ

46 „საქართველოში ... დავიწყოთ იქიდან, რომ ეს დამოკიდებულება არის ხშირად მტრული, ან თუ არ არის მტრული და არის მეგობრული, არის დამამცირებელი ძალიან, არ ვიცი, ქართულად როგორ არის patronizing, ანუ დამოკიდებულება როგორც ავადმყოფებთან, რომელთა განკურნებაც შესაძლებელია და აქედან გამომდინარე“. ე. აღდგომელაშვილი. ლგბ ჯგუფის საჭიროებების შესწავლა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG. თბილისი, 2014.

47 „რაც შეეხება დამოკიდებულებას, აქ არსებობს 2 მომენტი. პირველი მომენტი არის პირადად, როგორც ადამიანის, მიდგომა და ადამიანური პოზიცია „ჰომოს“ მიმართ და მეორე, არსებობს ექიმის პოზიცია. ექიმის და ადამიანის პოზიცია არ არის ერთი და იგივე... ...ჩემი აზრით, მე ვფიქრობ მაინც, რომ ექიმების 90% ალბათ უფრო უარყოფითად იქნებიან განწყობილონი ამ კატეგორიის მიმართ, როგორც ადამიანები და, როგორც ექიმები, ეგ უკვე სხვა თემა არის“. ე. აღდგომელაშვილი. ლგბ ჯგუფის საჭიროებების შესწავლა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG. თბილისი, 2014.

48 „მათი ბრალი არაა, რომ ეს ინფორმაცია არ აქვთ, იმიტომ, რომ სამედიცინო ინსტიტუტებში არ ისწავლებოდა და არ ისწავლება დღესაც“. „მე შევაფასებდი ექიმების დამოკიდებულებას, პრინციპში, უფრო, როგორც ჰომონეგატიურს, ვიდრე ჰომონეიტრალურს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ აბსოლუტურად არ აქვთ ადეკვატური ინფორმაცია“. ე. აღდგომელაშვილი. ლგბ ჯგუფის საჭიროებების შესწავლა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG. თბილისი, 2014.

ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, ისე - ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობასა და მიმართვიანობაზე სპეციალისტებთან.

ჯანდაცვის სფეროში ლგბტი პაციენტები განიცდიან „ოსტრაკიზმს, აგრესიულ დაკითხვას, უხეშ ფიზიკურ მოპყრობას, დამამცირებელ შენიშვნებს, კონფიდენციალობის დარღვევას, შოკს, შეურაცხყოფას, არამეგობრულ დამოკიდებულებას, შეცოდებითა და მოწყალებით მიმართვასა და შიშს“.[49] ისინი „რეაგირებენ ასეთ არასათნადო მოპყრობაზე სამედიცინო დახმარების მიღების გადადებით, ან მალავენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას და ამის გამო, შესაძლოა, არასწორი დიაგნოზის დასმის საფრთხე შეექმნათ“.[50] ჰომოფობია, უცოდინრობა და შიში არამხოლოდ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, არამედ გამოკვლევის პროცესსაც აფერხებს,[51] რაც უფრო აძლიერებს არასათანადო მოპყრობის ციკლს.[52]

ჯანდაცვის სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხული სპეციალისტების ნახევარზე მეტი (14, N=23) იზიარებს მოსაზრებას, რომ არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობასა და მიმართვიანობაზე სპეციალისტებთან.

ტრანსგენდერებთან ჩატარებულმა ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რესპონდენტების უმეტესობა (12, N=14) არ იტარებს რეგულარულ პროფილაქტიკურ სამედიცინო გამოკვლევებს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესამოწმებლად. ამის მიზეზად სახელდება: ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა ან ამგვარი გამოკვლევების ჩატარების საჭიროების ნაკლებობა, ფინანსური მდგომარეობა, დაზარება და უხერხულობის გრძნობა ექიმებთან, რაც რამდენიმე რესპონდენტმა საკუთარ გენდერულ თვითგამოხატვასა და ბიოლოგიურ სქესს შორის განსხვავებას დაუკავშირა.

აივ/შიდსი და სგგი

აივ/შიდსის, სგგი-ს გავრცელებისა და პრევენციის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების კვლევასა და მათ გათვალისწინებას პრევენციის

49 გზამკვლევი ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებზე. „ღია საზოგადოება - საქართველო“. 2014.

50 იქვე

51 იქვე.

52 იქვე

სტრატეგიის შემუშავებისას. მარგინალიზაციის, უმუშევრობისა და უსახლკარობის მაღალი რისკის გამო, ტრანსგენდერი ადამიანების ერთი ნაწილი იძულებული ხდება, კომერციულ სექს-მუშაკად იმუშაოს, რაც ზრდის აივ-ით და სგგი-ით ინფიცირების რისკებსა და საფრთხეებს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაეროს აივ/შიდსზე მომუშავე (UN-AIDS) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) გაერთიანებული პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს[53].

2013 წელს საინფორმაციო-საკონსულტაციო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა „თანადგომამ" ჩაატარა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ტრანსგენდერი ადამიანების აივ-თან დაკავშირებული სერვისების მოთხოვნის, საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის შესწავლას. კვლევამ აჩვენა, რომ: *„რესპონდენტთა უმეტესობას აქვს ცოდნა აივ-ინფექციის, შიდსის, გადაცემის გზებისა და პრევენციის შესახებ. ამასთან, გაცნობიერებული აქვთ დაინფიცირების რისკი, თუმცა, დაუცველი სქესობრივი ურთიერთობა მაინც აქვთ. მიზეზად ასახელებენ კომერციული კლიენტის დაკარგვის შიშს (შესაძლოა, მათ უარი უთხრან, თუ პრეზერვატივს გამოიყენებენ) და ნდობის ფაქტორი „მუდმივ პარტნიორთან". ყველა მათგანს ჩატარებული ჰქონდა აივ-ტესტი და სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულებას აღწერდა, როგორც ნორმალურს. ამასთან ხაზს უსვამდნენ, რომ უფასო სერვისის მიღება (ტესტირება) მათთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორების გამო... ... მათი უმეტესობა ასევე აუცილებლად მიიჩნევს უფასო თავდაცვის საშუალებებზე ხელმისაწვდომობას. ეკონომიკური ფაქტორის გარდა, მათი თქმით, ყოფილა შემთხვევა, რომ აფთიაქში დასცინეს და აღარ მოისურვეს მეორედ იქ შესვლა"*[54].

რაც შეეხება WISG-ის მიერ ჩატარებულ საჭიროებათა კვლევას, აღმოჩნდა, რომ: რესპონდენტების უმეტესობა არ იტარებს სისტემატურ რეგულარულ გამოკვლევებს, თუმცა, გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს აივ/შიდსისა და სექსუალური გზით გადამდები ინფექციების ტესტირებას. აივ/შიდსა და სგგი-ზე ტესტირებას მონაწილეები იკეთებენ „თანადგომაში" ან/და „შიდსის ცენტრში". ზემოხსენებულ ორ ორგანიზაციაში მათ მიმართ მოპყრობას რესპონდენტები აფასებენ, როგორც მეგობრულსა და პროფესიულს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სერვისები უფასოა და ხელმისაწვდომია მათთვის, სწორედ ეს ორი ფაქტორი უნდა განაპირობებდეს ამ სერვისებით სარგებლობის მაღალ

53 UNAIDS / WHO (2011) Technical Guidance for Global Fund HIV Proposals Round 11; WHO (2013) Joint Technical Brief: HIV, Sexually Transmitted Infections and Other Health Needs among Transgender People in Asia and the Pacifi c.

54 სამხრეთ კავკასიაში ტრანსგენდერებისათვის აივ-თან დაკავშირებული სერვისების მოთხოვნის, საჭიროების და ხელმისაწვდომობის შესწავლა. ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა". თბილისი. 2013

მაჩვენებელს.[55] რესპონდენტებიდან 9-ს აქვს გაკეთებული ანალიზი აივ/შიდსსა და სხვა სგგი-ზე გასული წლის განმავლობაში. მათ შორის, ვისაც ეს ანალიზი არ გაუკეთებია წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, მიზეზად ასახელებს ერთი პარტნიორის ყოლას და მისადმი ნდობას, თავდაცვის საშუალების რეგულარულ გამოყენებასა და ზოგ შემთხვევაში სექსუალური ცხოვრების არქონას ამ ეტაპზე.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და უმცირესობათა სტრესი

ტრანსგენდერი ადამიანები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან გენდერული ძალადობის თვალსაზრისით. ისინი ხშირად ხდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი, წლების განმავლობაში სისტემატურად განიცდიან ფსიქოლოგიურ ძალადობას როგორც ოჯახის წევრების, ისე - მათი გარემოცვის სხვა წევრებისა და უცნობი ადამიანების მხრიდან. ძალადობის გამოცდილება და ტრანსფობიური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. უმცირესობის სტრესი და ინტერნალიზებული ტრანსფობია ხშირად უბიძგებს მათ თვითდესტრუქციული ქცევებისაკენ[56].

ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტებისა და მეგობრების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული, მაგრამ ყველა მათგანს არ შეუძლია, ფსიქიკური ჯანმრთელობის პოტენციურად საფრთხის შემცველი ისეთი საკითხები აღმოაჩინოს, როგორებიცაა შფოთვითი მდგომარეობები, დეპრესია, სუიციდური აზრები, ფსიქოზი. ამ შემთხვევებში ფსიქიატრისგან აუცილებელი სპეციალური მეთვალყურეობა, შესაძლოა, სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს. იმ ფსიქიატრთა რაოდენობა, რომლებიც კომპეტენტურნი და მოტივირებულნი არიან, გაითვალისწინონ ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკა, ცოტაა[57].

---

55 იგივე შეიძლება ითქვას სხვა კვალიფიციურ მომსახურებაზე (მაგ. ფსიქოლოგიურ და სექსოლოგიურ კონსულტაციებზე), რომლებსაც ისინი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით იღებენ: სერვისის ხელმისაწვდომობა და არატრანსფობიური გარემო პირდაპირ ახდენს გავლენას სერვისებით სარგებლობაზე.

56 Meyer, I. H. (2006). Prejudice and discrimination as social stressors. In M. IH & N. ME (Eds.), The Health of Sexual Minorities: Public Health Perspectives on Lesbian, Gay, Bisexual, and Transgender Populations (pp. 242-267). New York, NY: Springer Science and Business Media.; Meyer, I. H., & Northridge, M. E. (Eds.). (2007). The health of sexual minorities: Public health perspectives on lesbian, gay, bisexual and transgender populations. New York: Springer.; Herek, G. M., Gillis, J. R., & Cogan, J. C. (1999). Psychological sequelae of hate-crime victimization among lesbian, gay, bisexual and transgender adults.Journal of Consulting and Clinical Psychology, 67, 945-951; D'Augelli, A. R., & Grossman, A. H. (2001). Disclosure of sexual/gender orientation, victimization, and mental health among lesbian, gay, bisexual and transgender older adults. Journal of Interpersonal Violence, 16, 1008-1027.

57 HIV, Sexually Transmitted Infections and Other Health Needs among Transgender People in Asia and the Pacific, joint regional technical brief, WHO. 2013

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის[58] მონაწილეებიდან მხოლოდ ორს არ მიუმართავს ფსიქოლოგისთვის გასული ორი წლის განმავლობაში (N=14). რესპონდენტები ძირითადად სარგებლობენ ლგბტ ორგანიზაციების მიერ მიწოდებული უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციებით და, რამდენიმე შემთხვევის გარდა, სრულ კმაყოფილებას გამოხატავენ მომსახურებასთან დაკავშირებით.

ცალკეული რესპონდენტებისა და ასევე მთელი ჯგუფის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაზომად კვლევაში გამოვიყენეთ „დეპრესიის შკალა“. დეპრესიული განწყობების საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი ჯგუფში არის 25, რაც მისაღებზე (16) უფრო მაღალია. რაც, ზოგადად, შეიძლება, უკავშირდებოდეს ზემოთ აღწერილ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებებს, ისევე, როგორც ცალკეული რესპონდენტების ფსიქიკურ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება, არ იყოს კავშირში მათ გენდერულ იდენტობასთან. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 45 და 39 აჩვენა ორმა რესპონდენტმა, რომლებსაც დეპრესიის საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და ამჟამადაც მკურნალობის პროცესში არიან.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დეპრესიის შკალაზე აჩვენა ორმა ტრანსგენდერმა კაცმა, რომლებიც სამ წელიწადზე ნაკლებია, რაც ტრანზიციის პროცსში იმყოფებიან. ამავე დროს, კოტემ, ტრანსგენდერმა კაცმა, რომელსაც ტრანზიცია 7 წელია, დაწყებული აქვს, დეპრესიის ასევე მისაღებზე მაღალი მაჩვენებელი (23) აჩვენა.[59] სხვა მხრივ თითოეულ რესპონდენტს, რომელსაც დეპრესიის შკალაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ბოლო ორი წლის განმავლობაში განუცდია ან ამჟამად განიცდის ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება, იქცეს დეპრესიული განწყობის წამახალისებლად.

ფინანსური ხელმისაწვდომობა

2014 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების უმეტესობა (12) არ იტარებს რეგულარულ პროფილაქტიკურ სამედიცინო გამოკვლევებს ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად. ამის ერთ-ერთ მიზეზად რესპონდენტები ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ.

თოთხმეტი რესპონდენტიდან სამედიცინო დაზღვევა აქვს მხოლოდ 5-ს,

58 ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი, 2014.

59 საინტერესო იქნება, მომავალში ტრანზიციის ხანგრძლივობისა და მისი თანმდევი ფაქტორების კვლევა დეპრესიული განწყობების ზრდასა და შემცირებასთან მიმართებაში.

აქედან 3-ს საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევა (მათ შორის, ერთი - სტუდენტური), ხოლო 2-ს - კერძო. იმ რესპონდენტებიდან, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არ აქვს, მიზეზებად სახელდება „ინტერესისა და საჭიროების ნაკლებობა“, ფინანსური სახსრების უკმარისობა და დაზღვევისათვის საბუთების წარდგენის დროს აპლიკანტის გარეგნობასა და საბუთებს შორის განსხვავებების ახსნის სტრესი. გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზემოხსენებული 9 რესპონდენტი არ გასცნობია ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეეძლოთ, ჩართულიყვნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში.

რაც შეეხება ტრანსსპეციფიკურ ჯანმრთელობის სერვისებს, სქესის კვლავმინიჭების მომსახურება საქართველოში არსებობს, მაგრამ ამასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა თავად პაციენტებს უწევთ (მაშინ, როდესაც სხვა სამედიცინო პროცედურების ხარჯები, მაგალითად, სხვადასხვა ანალიზები, კბილის ექიმის მომსახურება, მშობიარობა და ა.შ. შეიძლება, საქართველოში არსებული სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტებით იფარებოდეს).

საქართველოს მთავრობის N77 დადგენილების[60] საფუძველზე გარკვეული კატეგორიების სამედიცინო ოპერაციები სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან. ოპერაციათა ჩამონათვალი და სახელმწიფო დაფინანსების კრიტერიუმები ძირითადად განპირობებულია დაავადებათა მნიშვნელოვანებითა და სამედიცინო ოპერაციის ბენეფიციართა დაბალი სოციალური ან სპეციფიკური სოციალური სტატუსით. ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის კვლავმინიჭების პროცედურები, მისი მაღალი სოციალური მნიშნველოვანების მიუხედავად, არ არის წარმოდგენილი არც ერთ სამართლებრივ აქტში. საქართველოში არსებული სიღარიბისა და უმუშევრობის დონის გათვალისწინებით, ბევრისათვის სქესის კვლავმინიჭებისათვის აუცილებელი პროცედურებისათვის საჭირო ხარჯები შეიძლება, ფინანსურად ხელმიუწვდომელი იყოს.[61]

სხვადასხვა მონაცემებითა და გათვლებით, ტრანზიციის სრული პროცესის ღირებულება მერყეობს 12 000-დან 20 000 აშშ დოლარის ფარგლებში[62]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა

---

60 საქართველოს მთავრობის 77-ე დადგენილება „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“. 15.02.2011.

61 ტრანსგენდერთა საჭიროებების კვლევის მასალები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. „იდენტობა“ 2012

62 იმის გამო, რომ ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურები და რიგითობა არაა გაწერილი რეგულირებული სახელმწიფოს მიერ, ასევე ის ფაქტი, რომ როგორც კონსულტაციების რაოდენობა, ისე პრე და პოსტოპერაციული ჰორმონალური თერაპიის კურსის ხანგრძლივობა, ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურების რაოდენობა დამოკიდებულია ცალკეული ექიმის გადაწყვეტილებაზე, კონკრეტული ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა

უმეტესობა სერიოზულ პრობლემებს აწყდება დასაქმების სფეროში პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მათი გენდერის შეუსაბამო ჩანაწერის არსებობის გამო (რაც, დღეს არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე ტრანზიციის პროცესის სრულ გავლას ითვალისწინებს) და ხშირად იძულებულია, დათანხმდეს დაბალანაზღაურებად და არაკვალიფიციურ სამუშაოზე, მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურები[63]. ამგვარად, იკვრება ერთგვარი მანკიერი წრე, რომლიდან თავის დაღწევაც საკმაოდ ძნელია შესაბამისი რეგულაციების ან სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური ზომების გატარების გარეშე.

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უფლება

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება საქართველოში რეგულირდება როგორც საკანონმდებლო დონეზე[64], ისე - ქვეყანაში მოქმედი ეთიკური და სამედიცინო სტანდარტებით.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლზე სახელმწიფოს უპირატესი როლი განსაზღვრულია კანონით.[65] ხარისხის კონტროლის მექანიზმები მოიცავს როგორც სამედიცინო დაწესებულების ლიცენზირებას, ისე - ექიმების სერტიფიცირების სისტემას და კლინიკური პრაქტიკის ეროვნული სახელმძღვანელოების შემუშავებას[66].

ბოლო რამდენიმე წელია, ექიმთა სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების სისტემა შეჩერებულია. რაც შეეხება კლინიკურ გაიდლაინებს, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისები ხელმისაწვდომია საქართველოში (არ იგულისხმება ფინანსური ხელმისაწვდომობა), დღემდე არ არსებობს კლინიკური გაიდლაინი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა სქესის ტრანზიციასთან დაკავშირებული სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებები.

დამატებით ფაქტორებზე, ძნელია განისაზღვროს პროცედურების ზუსტი ღირებულება.

63 მაგ.2014 წელს, ჩვენს მიერ გამოკითხული 14 რესპონდენტიდან ხუთი თვითდასაქმებულია, 4 - უმუშევარი, 5 - სრულ განაკვეთზეა დასაქმებული. დასაქმებულთაგან, სამი რესპონდენტის შემოსავალი 300-დან 700 ლარამდეა, ოთხის 700-დან 1000 ლარამდე, ორის 100-დან 300-მდე, ერთის - 500-700 ლარის ფარგლებში მერყეობს, ერთის 100 ლარზე ნაკლებია.

64 „საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამოსამსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება“. კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 5.

65 „ყველა სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლს დადგენილი წესით აწარმოებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მუხლი 63

66 კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 16, პუნქტი ბ’

ბიოეთიკის საბჭოს 2008 წლის რეკომენდაციაში „ადამიანის მიერ სქესის შეცვლის თაობაზე“ მოცემულია ზოგადი მითითებები ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებზე. რაც შეეხება უშუალოდ სამედიცინო პროცედურების ხანგრძლივობას, რიგითობასა და მკურნალობის ფორმების შერჩევას, მინდობილია ცალკეულ სპეციალისტებზე:

„... საქართველოს კანონმდებლობა დღეს სქესის შეცვლის საკითხს სპეციფიკურად არ აწესრიგებს. ისევე, როგორც სხვა სამედიცინო მომსახურების დროს, ამ შემთხვევაშიც, ექიმმა უნდა იხელმძღვანელოს ჯანდაცვის ზოგადი კანონმდებლობით (კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“), რაც გულისხმობს ინფორმირებული თანხმობის მიღებას, კონფიდენციალობასა და სხვა ეთიკური, ასევე პროფესიული სტანდარტების დაცვას... ...სქესის შეცვლის საკითხზე რამე საკანონმდებლო ინიციატივა საჭირო არ არის. აღნიშნული ჩარევა უნდა განხორციელდეს არსებული კანონმდებლობის დაცვითა და პროფესიული სტანდარტების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ოპერაციის ჩატარების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს პაციენტის ნებას და ექიმის პასუხისმგებლობას.“[67]

რაც შეეხება სავალდებულო სამედიცინო მეთვალყურეობის ხანგრძლივობას, ჩასატარებელი გამოკვლევების ტიპსა და შეზღუდვებს ასაკთან დაკავშირებით, ბიოეთიკის საბჭო მიიჩნევს, რომ ეს საკითხები უნდა მოწესრიგდეს „პროფესიული სტანდარტებით და მათი განსაზღვრა უნდა მოხდეს სპეციალისტების მიერ“. (იქვეა მითითება იმის თაობაზე, რომ პაციენტი უნდა იყოს ქმედუნარიანი და გადაწყვეტილების მიღების მომენტში ჰქონდეს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი)[68].

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულში ტრანსგენდერობასა და ტრანსსპეციფიკურ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ფუნდამენტური ხასიათი აქვს როგორც დიაგნოსტირების, ისე - ზრუნვისა და მკურნალობის პროცესში. ტერმინოლოგიის ცვლილების, ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაციის, გენდერ-აფირმაციული თერაპიის ფორმების დამკვიდრების პარალელურად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია ტრანზიციასთან დაკავშირებული პროცედურების/მკურნალობის გავლენაზე პაციენტების ჯანმრთელობაზე და სხვ. აღნიშნული საკითხების რეგულაციის ცალკეული ექიმების დისკრეციაზე მინდობა

---

67 ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს რეკომენდაცია ადამიანის მიერ სქესის შეცვლის თაობაზე. 20.02.2008.

68 იქვე.

კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების საკითხს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის საქართველოში.

ეროვნული კლინიკური გაიდლაინის არარსებობას რომელშიც დაწვრილებით იქნებოდა გაწერილი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ზრუნვის შესაბამისი სტანდარტები, „სარგებლიანობისა“ და პაციენტისათვის „ზიანის მიუყენებლობის“[69] პრინციპების გათვალისწინებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს ჩვენ მიერ გამოკითხულ ექიმთა ის ჯგუფიც, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ამ სერვისს[70]. ამასთან, ხაზს უსვამენ მათი, როგორც უშუალოდ საკითხზე მომუშავე სპეციალისტების, ჩართულობის აუცილებლობას აღნიშნული გაიდლაინის მომზადების/ადაპტაციის პროცესში.

ჯანდაცვის სპეციალისტების ინფორმირებულობა და ცოდნა ტრანსგენდერობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

ჯანდაცვის სპეციალისტებმა „შეიძლება, არ იცოდნენ ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკური საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში ან აკლდეთ პროფესიული მომზადება, რაც აუცილებელია ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“[71], რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე.

ჩვენმა გამოკითხვამ აჩვენა[72], რომ რანდომიზაციის გზით შერჩეულ ჯანდაცვის მუშაკებს საკმაოდ ბუნდოვანი ცოდნა აქვთ (ან საერთოდ არ აქვთ) გენდერული იდენტობის/ტრანსგენდერობის შესახებ. ერთი ნაწილი

---

69 „**სარგებლიანობა** გულისხმობს პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას; პაციენტისათვის მიცემული ნებისმიერი რჩევის, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის უპირველესი მიზანი უნდა იყოს პაციენტისათვის სარგებლობის მოტანა (იგულისხმება პაციენტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა)“. „ **ზიანის მიუყენებლობა** გულისხმობს სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში ზიანის თავიდან აცილებას. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის მიზანი პაციენტისათვის სარგებლობის მოტანაა, ნებისმიერ ჩარევას ახლავს გარკვეული ზიანის მიყენების ალბათობა; სამედიცინო პერსონალი მუდამ უნდა ცდილობდეს სარგებლობის მაქსიმალურად გაზრდას და ზიანის მინიმუმამდე შემცირებას; ამასთან, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევისას მოსალოდნელი სარგებლობა უნდა აღემატებოდეს სავარაუდო ზიანს“. ადამიანის უფლებების საკითხებზე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციებისა და ეთიკის ნორმების მიმოხილვა და ანალიზი. გ. ჯავაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. ქუთათელაძე. თბილისი. 2013.

70 „ადაპტირებისთვის საჭიროა რაღაც ინფორმაციის ქონა, რომელიც არ არის და ამ მომენტისთვის ვერ ვიტყვი, რამდენად მორგებულია ან არა (იგულისხმება სამედიცინო კლასიფიკატორები). სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ამას. განსაკუთრებით დასარაგულირებელია სამედიცნო ჩარევა. როგორ შეიძლება, რაღაც კეთდებოდეს ქვეყანაში და ეს არ იყოს სახელმწიფო რეგულირების ქვეშ. ლგბტ საჭიროებების კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG 2014.

71 OHCHR (2011) para. 57; Hammarberg, T. (2009) Gender Identity and Human Rights: Issue Paper, Strasbourg: Council of Europe, para. 3.3.

72 ლგბტ ჯგუფის საჭიროებების კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG, 2014

ვერ ახდენს ზუსტ ფორმულირებას, თუმცა, მას განმარტავს, როგორც „საკუთარი სქესის თვითაღქმის პრობლემას". ნაწილი ვერ მიჯნავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას ერთმანეთისაგან.

სპექტრი, რომლითაც რესპონდენტები აღწერენ გენდერულ იდენტობას/ ტრანსგენდერობას, საკმაოდ ფართოა: ავადმყოფობა, გადახრა, ცოდვა, პათოლოგია, „გადახვევა ჯანსაღი ცხოვრების წესიდან", „თანასწორუფლებიანობა ქალსა და კაცს შორის".... 23-იდან მხოლოდ 3 რესპონდენტი მიჯნავს ერთმანეთისაგან ტრანსგენდერობასა და გენდერულ დისფორიას. სამივე მათგანს აქვს ტრანსგენდერებთან მუშაობის კლინიკური გამოცდილება და იცნობს DSM V-ს.

საქართველოში მომუშავე სპეციალისტები დიაგნოსტირებისას ხელმძღვანელობენ ICD-10 კლასიფიკატორით, რომელიც გაცილებით ხისტია ტრანსგენდერობის სპექტრის აღწერის თვალსაზრისით, ვიდრე - DSM-IV ან DSM-V. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელი კლასიფიკატორი უფრო მოქნილია ტრანსგენდერული სპექტრის აღსაწერად, რესპონდენტები (ჯანდაცვის სპეციალისტები) სხვადასხვაგვარად პასუხობდნენ. ამასთან, სპეციალისტების საკმაოდ მცირე რაოდენობა იცნობდა იმ ცვლილებებს, რაც ტრანსგენდერობას უკავშირდება DSM-V-ში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ უკავშირდებოდა გამოკითხულთა კლინიკურ გამოცდილებას და არა სხვა რამე ფაქტორებს: მაგ. ასაკობრივ ჯგუფს, განათლებას, სპეციალობას და ა.შ.)

სქესის, გენდერისა და გენდერული იდენტობების გამიჯვნა საკვანძო საკითხს წარმოადგენს ტრანსსპეციფიკური საკითხების დეპათოლოგიზაციის პროცესში.

კლასიფიკატორის ქართულენოვან გამოცემებში კი პრობლემურად რჩება სქესისა და გენდერის ტერმინოლოგიური აღრევები (მაგ. "gender identity disorder" (F64) ნათარგმნია, როგორც „სქესობრივი იდენტიფიკაციის დარღვევები"[73] „სქესობრივი იდენტურობის აშლილობა"[74]. სამედიცინო სახელმძღვანელოებსა და რეზიდენტურის მოდულებში „გენდერი" ასევე ნათარგმნია, როგორც - „სქესი"[75]. კიდევ ერთ სახელმძღვანელოში, რომელიც 2013 წელს გამოიცა ქართულ ენაზე (ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. მეხუთე გამოცემა), ტრანსსპეციფიკური საკითხები გაერთიანებულია

73 თ. სილაგაძე, ლ. მენთეშაშვილი. ფსიქიკურ დაავადებათა დიაგნოსტიკა ICD-10-ის კრიტერიუმების მიხედვით (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი. 2009.

74 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფსიქიატრიის ლექსიკონი. საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება. თბილისი. 2005

75 მაგალითისთვის ასევე შეგიძლიათ იხ. რეზიდენტურის პროგრამა პედიატრიაში. მუხლი 3. მოდული 3. განვითარებისა და ქცევის პედიატრია. პ) „სექსუალური ქცევის/სქესის იდენტიფიკაციის დარღვევები: ონანიზმი, ტრანსსექსუალიზმი, ტრანსვესტიზმი, ჰომოსექსუალიზმი".

„გენდერული იდენტობის ანომალიების“ ქვეთავში[76]). გამონაკლისს წარმოადგენს მ. ჭავჭანიძის ნაშრომი კლინიკურ სექსოლოგიაში, რომელიც არათუ მკაფიოდ ახდენს როგორც სქესის და გენდერის გამიჯვნას ერთმანეთისგან, ასევე აღწერს ორივე მათგანს და ეხება ტრანსსპეციფიკურ საკითხებსაც[77]. ზემოაღნიშნული ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად პრობლემურია გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების არტიკულაცია ჩვენს აკადემიურ სივრცეში.

სამედიცინო პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა ტრანსსპეციფიკურ საკითხებსა და საჭიროებებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის ხელმისაწვდომობაზე ტრანსგენდერი, ინტერსექსი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანებისათვის.

მათ, ვისაც რამე სახის ცოდნა აქვს გენდერული იდენტობის შესახებ, ხაზს უსვამს, რომ ეს ცოდნა მან უმაღლესის დამთავრების შემდეგ შეიძინა კლინიკური გამოცდილების პარალელურად ან ტრენინგებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით, დღეს არსებული სახელმძღვანელოები და მეთოდოლოგიაც არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და არ ასახავს ბოლო წლებში დაგროვებული კლინიკური გამოცდილებისა თუ კვლევების შედეგებსა და საუკეთესო სამედიცინო პრაქტიკებს. ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებს მზაობას, აიმაღლოს განათლება ამ საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც საგანმანათლებლო, ისე კლინიკური კვლევებისა და გამოცდილების სიმწირის გამო, ტრანსგენდერი ადამიანების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ ცოდნა ძალიან ცოტას აქვს[78]. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ იმ სპეციალისტებს შორისაც კი, ვისაც უშუალო შეხება აქვს ტრანსგენდერ ადამიანებთან, მხოლოდ სამია ასეთი.

დანარჩენი გამოკითხულებისათვის, პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების ჩათვლით, ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები შემოიფარგლება: 1) ფსიქოლოგის/ფსიქიატრის კონსულტაციებით; 2) ფსიქიატრის კონსულტაციებითა და სქესის შეცვლის ოპერაციით; 3) სარისკო სქესობრივ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემებით; რაც

76 მ. გელდერი, პ.ჰარისონი, ფ.ქოუენი. ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში. ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. აღნიშნული სახელმძღვანელო გამოცემულია 2006 წელს და ეყრდნობა DSM-IV-ს.

77 მ. ჭავჭანიძე. კლინიკური სექსოლოგიის პროპედევტიკა. თბილისი. 2014

78 „სპეციფიური საჭიროება, რაც არ აქვს სხვას, არა, რატომ უნდა ჰქონდეს“; „ურიგო არ იქნება, ზოგადი ინფორმაციისთვის იცოდე, უბრალოდ ასეთი მწვავე აუცილებლობა არ არის, რადგან ძალიან განსაკუთრებული ჩივილები წესით არ უნდა ქონდეს. მე რაც მაქვს პრაქტიკაში ურთიერთობა იქიდან გამომდინარე ვიძახი“. ლგბტ ჯგუფის საჭიროებების კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჯანდაცვის სპეციალისტებთან. ტექნიკური ანგარიში. WISG, 2014

შეიძლება აიხსნას, ერთი მხრივ, ტრანსგენდერობის პათოლოგიზაციით და, მეორე მხრივ, გენდერის აღქმის გავრცელებული ბინარული ჩარჩოთი და მწირი ცოდნით როგორც ტრანსგენდერობის, ისე - გენდერული ვარიაციების შესახებ.

ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის სერვისები

დღეს არსებული მდგომარეობით, ტრანსგენდერობა სრულად არის მედიკალიზებული და პათოლოგიზებული საქართველოში და არ ითვალისწინებს ტრანსგენდერობის ფართო სპექტრს. ავტომატურად ითვლება, რომ უკლებლივ ყველა ტრანსგენდერისა და გენდერულად არაკონფორმული ადამიანის საბოლოო მიზანი სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის ჩატარებაა, რაც არ შეესაბამება სხვა ქვეყნებში კლინიკური გამოცდილებით მიღებულ შედეგებს.[79] ტრანსგენდერობის ფსიქიკურ აშლილობად კლასიფიცირება გულისხმობს იმას, რომ ტრანსგენდერი ადამიანები უნდა დაექვემდებარონ ფსიქიატრიულ შეფასებას სასურველი ჰორმონული და ქირურგიული მკურნალობის სერვისების მისაღებად. საქართველოში მცხოვრები ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება იმით, რომ პათოლოგიზაცია და შემდგომი სამედიცინო პროცედურები სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის ჩათვლით, გენდერის სამართლებრივი აღიარების აუცილებელი წინაპირობაა.

DSM-V მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ტრანსგენდერობას, როგორც იდენტობას და გენდერულ დისფორიას, რომელსაც ზოგიერთი გენდერულად არაკონფორმული ინდივიდი განიცდის ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე. [80]

დისტრესთან გამკლავების, გენდერული დისფორიის მკურნალობის მეთოდები შესაძლოა, მოიცავდეს გენდერულ თვითგამოხატვასა და სხეულის კორექციასთან დაკავშირებულ ცვლილებებსაც. მათ შორის სხეულის ფემინიზაცია/მასკულინიზაცია ჰორმონული თერაპიის და/ან ქირურგიული ჩარევის გზით. ცალკეულ შემთხვევებში, როცა გენდერული დისფორია განსაკუთრებით მწვავეა, ამგვარი ჩარევა უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს.

---

79 ამ მხრივ, სხვა ქვეყნებში არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტრანსგენდერთა რაოდენობა ზრდასრულთა შორის 1:24000-დან 1:37000 ფარგლებში მერყეობას ბიოლოგიური მამაკაცებისათვის და 1:103000-დან 1:15000-მდე - ბიოლოგიურად ქალებისათვის. საშუალოდ 1:30000 (ბიოლოგიურად მამაკაცი) და 1:100000 (ბიოლოგიურად ქალი) მიმართავს კლინიკას სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის მოთხოვნით. ამასთან ხაზგასმულია, რომ ეს მაჩვენებელი განსხვავდება ტრანსგენდერთა საერთო მაჩვენებლებისაგან. See DSM IV at 535.

80 American Psychiatric Association: Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 5th edition. 2013

WISG-ის კვლევაში მონაწილე ტრანსგენდერი ადამიანებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას, როგორიცაა, მაგალითად, ჰორმონული თერაპია და სხვადასხვა ტიპის ქირურგიული ჩარევები (განსაკუთრებით, მასტექტომია ან მკერდის გადიდება). მაშინ, როცა მკერდის გადიდების მსურველი ტრანსგენდერი ქალები პირდაპირ მიმართავენ პლასტიკურ ქირურგს, ტრანსგენდერი კაცებისთვის უცნობია, ვის შეიძლება, მიმართონ მასტექტომიისათვის და რა ჩვენებაა საჭირო იმისათვის, რომ ქირურგმა ეს ოპერაცია ჩაატაროს. კვლევაში მონაწილე არცერთი ტრანსგენდერი ქალი არ იტარებს ჰორმონულ თერაპიას და არც ინფორმაცია აქვთ მასთან დაკავშირებით, ტრანსი კაცები კი (სამი რესპონდენტი) უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ტრანზიციის ამ ასპექტს და შესაბამისი ინფორმაციის წყაროსაც უფრო ადვილად პოულობენ.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის საჭირო ინფორმაციაში მსგავსი ცარიელი ადგილები გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ტრანზიციის თანამდევი ქირურგიული და სხვა ტიპის სამედიცინო ჩარევები ქართული კანონმდებლობით არ იკრძალება, მაგრამ არც რეგულირდება. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება საკითხთან დაკავშირებით ხშირად კონკრეტული ექიმების და კლინიკების დისკრეციაზე არის მინდობილი. აქედან გამომდინარე, სწორი ინფორმაცია საკითხთან დაკავშირებით, უბრალოდ, ვერ იყრის თავს ერთად და ხშირად ტრანსგენდერი ადამიანების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვისაც კი ბუნდოვანია.

ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურება შესაძლოა, პირობითად დაიყოს რამდენიმე ეტაპად: დიაგნოსტირება, ჰორმონული თერაპია, სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია:

ა) დიაგნოსტირების ეტაპის ხანგრძლივობა 1 წლიდან 1,5 წლამდეა და მოიცავს კონსულტაციებს ფსიქოლოგთან, ფსიქიატრთან, სექსოლოგთან, გენეტიკურ, ჰორმონულ, უროგენიტალურ დიაგნოსტიკას, ასევე სხვადასხვა ტიპის ტესტებსა და ანალიზებს. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ ექიმი სექსოლოგი გასცემს ცნობას ე.წ. „ჭეშმარიტი ტრანსექსუალობის" შესახებ. დღეს მოქმედი ICD-10 კლასიფიკატორის მიხედვით, აღნიშნული მდგომარეობა შეესაბამება F64-ს. აღნიშნული დიაგნოზი აუცილებელი წინაპირობაა ჰორმონული თერაპიისა და ქირურგიული ოპერაციისათვის;

ბ) ჰორმონული თერაპია;

გ) ქირურგიული ჩარევა.

მოცემული კვლევის მონაწილეებს შორის „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის" ცნობა მხოლოდ სამს აქვს (N=14), ერთი კი შესაბამის პროცედურებს

გადის იმისათვის, რომ დასკვნა აიღოს. მონაწილეების უმეტესობა თვლის, რომ ცნობა უნდა გაიცემოდეს იმისათვის, რომ ადამიანი დარწმუნდეს საკუთარ გენდერულ იდენტობაში და არ ინანოს ოპერაცია, რომელსაც ჩაიტარებს. ამავე დროს, რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ ადამიანს არ უნდა უწევდეს ხანგრძლივი და ძვირი პროცედურების გავლა საკუთარი გენდერული იდენტობის „დასამტკიცებლად“[81].

ცალკე უნდა გამოვყოთ შემთხვევა, როდესაც რესპონდენტმა თავისი გენდერული იდენტობის ძიების პროცესში აღმოაჩინა საკუთარი ინტერსექსუალობაც. მას „ჭეშმარიტი ტრანსსექსუალის“ დასკვნა აღებული აქვს, ოღონდ - არა საქართველოში.[82]

ჰორმონული თერაპია

ჰორმონულ თერაპიას ბევრი ტრანსგენდერი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ჰორმონების მიღება გავლენას ახდენს სქესის მეორად მახასიათებლებზე, როგორებიცაა სხეულის ფორმები და თმოვანი საფარი, ხმის ტემბრი და ა.შ. გარშემომყოფთა მხრიდან ეს ხშირად აღიქმება, როგორც ერთგვარი „გენდერული მარკერი“ და გამოიყენება ინდივიდის მიკუთვნებისათვის რომელიმე სქესისადმი. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ტრანსგენდერ ადამიანს მისი გარშემომყოფები.

საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ტრანზიციისათვის

---

81 სერგი (26 წლის ტრანსგენდერი კაცი) ასევე აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დროის თვალსაზრი–სით არ არის მისთვის მოსახერხებელი, რადგან ის მომავალში აპირებს სქესის კორექციის ოპერაციის გავლას: „წელიწად-ნახევარს მე ვერავის ვერ დაველოდები უბრალოდ, აღარ მაქვს იმის ასაკი, რომ ვინმეს დაველოდო წელიწად-ნახევარი, 30-ს ვუკაკუნებ უკვე... 40 წლის ასაკში მე მგონი აღარაფერი აღარ მომინდება ... ჯანმრთელობის მხრივ 30 და 35 იმის შემთხვევაში, რომ ამხელა ოპერაცია გაიარო და მერე რეაბილიტაცია მარტივად გადაიტანო, ნაკლებად შესაფერისი დრო და ასაკია“. ნ. გვიანიშვილი, ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. 2014

82 დასკვნის აღებამდე პროცესს ის შემდეგნაირად აღგვიწერს: „თავიდან [...] საოლქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამაწვინეს. პირველ განყოფილებაში, მწვავე ფსიქიატრია სადაც იყო ... იმის საფუძველზე, რომ თვლიდნენ რომ გიჟი ვარ და საკუთარი თავის საკუთარ სქესს გარეთ პოზიციონირება არანორმალურია. ერთი თვე ვიწექი ამ დახურულ შენობაში, გისოსებიანი ფანჯრებით. პარალელურად დაიწყო გამოკვლევები, ფსიქოლოგიური, სექსოლოგიური, ფსიქიატრიული და ასე შემდეგ ... საერთო ანალიზი, მერე ჩაღრმავებები, მერე ნათესები მოკლედ მერე მანდედან გამომივლინდა ეს XX ქრომოსომა“. მას შემდეგ, რაც ექიმებმა დაადგინეს, რომ ლიზას XX ქრომოსომა აქვს, ხოლო მეორადი სასქესო ნიშნები - მამაკაცის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ინტერსექსუალობის სპექტრზე იმყოფება, საავადმყოფოდან გაწერეს. ლიზას თქმით, მისი სხეულის ფორმები უფრო ფემინური იყო, რადგან მისი ორგანიზმი ტესტოსტერონს არ გამოიმუშავებდა საკმარისი დოზით. ამის გამო ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, მისი მასკულინიზაციის მიზნით ჰორმონული თერაპია დაეწყოთ. შედეგად მას სიმსივნე განუვითარდა, რომელიც ოპერაციისა და მკურნალობის შედეგად ლიზამ წარმატებით დაძლია. ნ. გვიანიშვილი, ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. 2014

საჭირო ჰორმონული თერაპიის დასაწყებად აუცილებელია დიაგნოზის (F.64) არსებობა. როგორც ზემოთაა აღნიშნული, დიაგნოსტირების პროცესი 1-2 წლამდე შეიძლება, გაგრძელდეს და მოიცავს სხვადასხვა ტიპის კონსულტაციებსა და ტესტებს.

„კვლევაში მონაწილე რესპონდენტებიდან სამი ტრანსგენდერი კაცი ჰორმონულ თერაპიას იტარებს. მიუხედავად იმისა, რომ ჰორმონული პრეპარატების მიღება ექიმის ზედამხედველობის გარეშე რეკომენდებული არ არის, მათ ენდოკრინოლოგისთვის არ მიუმართავთ. მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ არ აქვთ სტაბილური შემოსავალი, ექიმის კონსულტაციები და შესაბამისი ანალიზები კი ძვირია. სამივე იღებს „ომნადრენ 250-ს“, რომლის შესახებაც სამივემ უცხოეთში მცხოვრები ტრანსგენდერი აქტივისტებისგან შეიტყო. ამავე წყაროდან მიიღეს მათ დოზირებისა და მიღების სიხშირესთან დაკავშირებული ინფორმაციაც. ჰორმონული თერაპიის შედეგებს სამივე უაღრესად დადებითად აფასებს: მათ გაუჩნდათ თმის საფარი სახეზე, დაუბოხდათ ხმა და ცხიმოვან-კუნთოვანმა მასამაც სხვაგვარად დაიწყო გადანაწილება. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ეხმარება სამივე რესპონდენტს, ინტეგრირდეს საზოგადოებაში და აღარ გამოიწვიოს „ეჭვი“ საკუთარ გენდერთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, ნაკლებად მოწყვლადებს ხდის მათ მოულოდნელი ტრანსფობიური თავდასხმების მიმართ.“[83]

ქირურგიული ჩარევა

სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული პროცედურები შეიძლება, დაიყოს და განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად: მკერდის გადიდება/ მასტექტომია, ჰისტერექტომია, ვაგინოპლასტიკა/ ფალოპლასტიკა, პენისის/სათესლე ჯირკვლების მოშორება, სახის ფემინიზაციისთვის საჭირო პლასტიკა და სხვ.

აღნიშნული სამედიცინო პროცედურები არაა აკრძალული კანონმდებლობით და ქვეყანაში არსებობს კლინიკები, სადაც ტარდება სქესის კვლავმინიჭებასთან დაკავშირებული ქირურგიული ოპერაციები[84].

83 ნ. გვიანიშვილი. ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. თბილისი. 2014

84 „თანადგომას“ კვლევის მონაწილეთაგან „ერთის გარდა ყველა რესპონდენტი ასახელებს საქართველოში ერთ-ერთ კლინიკას, სადაც შესაძლებელია მსგავსი ოპერაციების ჩატარება, მაგრამ უმრავლესობა, თუ მაინც არჩევანზე მიდგა საქმე, უპირატესობას ანიჭებს საზღვარგარეთ მდებარე კლინიკებს. ქვეყნებად სახელდება გერმანია, ჰოლანდია, თურქეთი და ინდოეთი. ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ საქართველოში არ კეთდება მსგავსი ოპერაციები. ნაწილი რესპონდენტებისა აცხადებს, რომ არ ენდობა ქართველ სპეციალისტებს, რადგან აქვს ინფორმაცია, რომ მსგავსი ოპერაციების მერე ადგილი ჰქონია პაციენტების დამახინჯებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევებს ვერ ასახელებენ“. სამხრეთ კავკასიაში ტრანსგენდერებისათვის აივ-თან დაკავშირებული სერვისების მოთხოვნის, საჭიროების და ხელმისაწვდომობის შესწავლა. ხარისხობრივი კვლევის ანგარიში, საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი

WISG-ის კვლევაში მონაწილე ტრანსგენდერი რესპონდენტებისაგან მხოლოდ ერთს (N=14) აქვს გაკეთებული ორმხრივი მასტექტომია,[85] კვლევის მონაწილე სხვა ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში ნაწილს არ აქვს საკმარისი ფინანსური სახსრები, ნაწილი ოჯახის წევრების ან/და პარტნიორების თანხმობას ელოდება, ნაწილს კი არ აქვს გადაწყვეტილი, სურს თუ არა რამე ტიპის ოპერაციის ჩატარება. კვლევის მომენტისათვის სამმა ტრანსგენდერმა ქალმა გაუსვა ხაზი იმას, რომ ამჟამად ფულს აგროვებენ მკერდის გადიდების ოპერაციის გასაკეთებლად.

„თანადგომა“. თბილისი. 2013

85 სერგი (26 წლის ტრანსგენდერი კაცი), რომელიც ჯარში მსახურობდა, ყვება: „ომის მერე, ესე იგი 2008-ში, გავიკეთე ოპერაცია ... თან დავამთხვიე, რომ ნაკლები კითხვა ყოფილიყო რა ... ხელსაყრელი მომენტი ჩავიგდე ხელში და გავიკეთე ოპერაცია... ომის მერე ყველა ჯარისკაცმა გაიარა სამედიცინო შემოწმება ... ვინაიდან და რადგანაც, ჩემი თვალსაზრისი და ცხოვრების სტილი იცოდა ყველამ, პრობლემას აშკარად არასოდეს არავინ არ მიქმნიდა “. ნ. გვიანიშვილი, ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში. WISG. 2014

სხვა ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები

ტრანსფობია და დისკრიმინაცია

2010 წლის 31 მარტს ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტა–ციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ – CM/REC(2010)5[86]. რეკომენდაცია პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც კონკრეტულად ამ საფუძველზე არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრას ისახავს მიზნად. განმარტებითი მემორანდუმი[87] საშუალებას იძლევა, ამომწურავად შეფასდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის დასაძლევად გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა და გამოვლინდეს პრობლემური და საკვანძო საკითხები, რომლებიც რეაგირებას ითხოვს სახელმწიფოს მხრიდან.

რეკომენდაცია ერთხმად იქნა მიღებული ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო რეკომენდაციაა და არა - კონვენცია, იგი მყარად ეფუძნება წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დამავალდებულებელ საერთაშორისო და ევროპულ შეთანხმებებს; შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს მისი შესრულების მკაფიო ვალდებულება ეკისრებათ.[88]

CM/REC(2010)5 რეკომენდაცია პირდაპირ იძლევა მითითებას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ეროვნული სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად. ევროპის საბჭოს წევრი რიგი სახელმწიფოებისათვის ეს საკითხი უკვე პრიორიტეტული იყო და, შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, აქტიურად მუშაობდნენ არსებული კანონებისა და ნორმატიული აქტების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად.

ევროპის საბჭოს წევრ 10 ქვეყანაში შემუშავებულია გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა ლგბტ ადამიანთა სრულყოფილი ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებაში (ალბანეთი, ბელგია, საფრანგეთი,

86 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ.

87 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ. განმარტებითი მემორანდუმი.

88 2013 წელს, სახელმწიფოებმა წარადგინეს ანგარიში მიღწეული პროგრესის შესახებ. სახელმწიფოს მიერ მომზადებული ანგარიში შეგიძლიათ იხ. შემდეგ ბმულზე: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Others_issues/LGBT/Questionnaire/LGBT_Georgia.pdf;

გერმანია - რეგიონულ დონეზე, იტალია, ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი - რეგიონულ დონეზე, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია).

გარდა იმის, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და ქმედებები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლით განსაზღვრულ პრინციპს, „ძალადობის მსხვერპლთა თვალსაზრისით, ამგვარი დანაშაულისაგან ყველაზე მეტად ზარალდება მათი იდენტობის მყარი, ფუნდამენტური ასპექტი“.[89] შესაბამისად, ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ევროპის საბჭოს 23 ქვეყანაში, კანადაში, ჩილესა და ამერიკის ზოგიერთ შტატში, სექსუალური ორიენტაცია ჩართულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საფუძვლების ჩამონათვალში.

მიუხედავად ამისა, არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სტატისტიკა ასეთი დანაშაულების შესახებ რეალურად არ ასახავს ლგბტ ადამიანთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სურათს. შესაბამისად, „საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანოდო ზომები, რათა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშუალებისა და სხვა სიძულვილით მოტივირებული შემთხვევების მსხვერპლებმა და თვითმხილველებმა განაცხადონ მათ შესახებ; აღნიშნული მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის, სასამართლო სისტემას, გააჩნდეს ასეთი დანაშაულებისა და ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებისთვისა თუ მხარდაჭერისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარები“[90].

ამ მიმართულებით უკვე არსებობს აპრობირებული პრაქტიკები, როლებიც მოიცავს სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას პოლიციისა და მოსამართლეებისათვის, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ მსგავსი დანაშაულებისა და შემთხვევების დადგენას, აგრეთვე დაზარალებულებისა და მოწმეების ადეკვატურ დახმარებასა და მხარდაჭერას (ინგლისი - ლონდონის პოლიცია, შოტლანდია, შვედეთი, კატალონიის პოლიცია - ამ ქვეყნებში არსებობს სპეციალური სახელმძღვანელოები). ბელგიაში, პორტუგალიაში, ხორვატიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, იტალიასა და, ნაწილობრივ, შვედეთში,

89 Hate Crime Laws – A Practical Guide. OSCE .

90 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2010)5 წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ. განმარტებითი მემორანდუმი.

ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები ტრენინგებს უტარებენ პოლიციელებს, რათა უფრო სენსიტიური გახადონ ამ საკითხების მიმართ. იტალიაში ტრანსფობიურ და ჰომოფობიურ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებულია გენდერული ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართულ სატრენინგო პროგრამაში.[91]

რიგ ქვეყნებში, ლგბტ არადისკრიმინაციისა და თანასწორობის საკითხები ინტეგრირებულია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში, ზოგან ამ საკითხების ცალკე, ჯგუფის სპეციფიკაზე მორგებული სამოქმედო გეგმებია შემუშავებული (მაგ. ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი[92]).

გენდერის სამართლებრივი აღიარება

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებში[93], რომელიც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) ადამიანების მიერ ადამიანის უფლებებით სრულად სარგებლობას ეხება, აღნიშნულია, რომ:

> *„ადამიანის ბევრი უფლების განხორციელებისთვის აუცილებელია შესაბამისი პირადი დოკუმენტები. ტრანსგენდერი ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ მათი უპირატესი სქესის დამადასტურებელი პირადი დოკუმენტები, შეიძლება ამის შედეგად შეეჯახონ თვითნებობას და დისკრიმინაციას ცალკეული პირების და დაწესებულებების მხრიდან. სქესის იურიდიული აღიარებისათვის წაყენებული მოთხოვნები შეიძლება იყოს მეტისმეტად მკაცრი, მაგალითად, სტერილურობის ან უნაყოფობის დამტკიცების მოხოვნა, სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაცია, ჰორმონული მკურნალობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის დიაგნოზი და/ან განსაზღვრული დროის განმავლობაში უპირატესი სქესის წარმომადგენლის სახით ცხოვრება (ე.წ. „ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება“).*

ტრანსგენდერებისათვის სქესის აღიარება სამართლებრივად რეგულირების თვალსაზრისით რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს:

---

91 ე. აღდგომელაშვილი. ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2013.

92 https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/85498/transgender-action-plan.pdf

93 Council of the European Union, 24 June 2013, “Guidelines to Promote and Protect the Enjoyment of All Human Rights by Lesbian, Gay, Bisexual, Transgender and Intersex (LGBTI) Persons”. Para.20. document number 11492/13,

1) სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია ან/და სტერილიზაცია აუცილებელი მოთხოვნაა სქესის აღიარებისთვის (ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან 35-ში ეს პროცესი ან არ რეგულირდება კანონით, ან იძულებითი სტერილიზაცია აუცილებელი მოთხოვნაა (29 ქვეყანა), აშშ-ს შტატების უმრავლესობა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა);

2) იძულებითი სტერილიზაცია, როგორც სქესის აღიარების წინაპირობა, კანონში არაა მითითებული, თუმცა, სქესის სამართლებრივ დოკუმენტებში შესაცვლელად აუცილებელ მოთხოვნად ადგენს ჰორმონული თერაპიის კურსის ჩატარებას (ესპანეთი).

3) კანონი არ ითხოვს რამე სახის სამედიცინო ჩარევას ან იძულებით სტერილიზაციას გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის (არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, დანია). აქ არ არის დადგენილი ჰორმონული მკურნალობისა თუ რამე სახის ოპერაციის გავლა სასურველი გენდერის ოფიციალური აღიარების მოსაპოვებლად.[94] გენდერის სამართლებრივი აღიარება შესაძლებელია გენდერული დისფორიის[95] შესახებ მტკიცებულების წარმოდგენით კომპეტენტური უწყების წინაშე, როგორებიც არიან ექსპერტები ჯანდაცვის სამინისტროდან (უნგრეთი), გენდერის ცვლილების პანელი (დიდი ბრიტანეთი), ექიმი ან კლინიკური ფსიქოლოგი. უნგრეთში სქესის აღიარება, მართალია, არ რეგულირდება კანონით, მაგრამ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სამედიცინო ჩარევებისა და სტერილიზაციის მოთხოვნების გარეშე პირის დაბადების მოწმობაში ცვლილების შეტანა ხდება.[96]

აქედან პირველი ტიპის პრაქტიკა ცალსახად ეწინააღმდეგება ჯოკიაკარტას პრინციპებსა და ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებს - „არ შეიძლება, ვინმე დაექვემდებაროს მკურნალობას ან სამედიცინო ექსპერიმენტს მისივე ნებართვის გარეშე."[97]

94 ამ ქვეყნების პრაქტიკა საუკეთესოდ მიიჩნევა.

95 ეს ფენომენი მიუთითებს უკმაყოფილებაზე, რომელსაც ადამიანები გრძნობენ იმ ბიოლოგიურ სქესთან მიმართებაში, რომლითაც დაიბადნენ.

96 ამ პროცედურის მიხედვით, ტრანსგენდერი ადამიანი წარადგენს განცხადებას დაბადების მოწმობაში სქესის შეცვლის შესახებ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სამედიცინო ექსპერტის დასკვნა და განმცხადებლის სამედიცინო ისტორია. თანდართული საბუთებისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე კი ჯანდაცვის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას სქესის აღიარების შესახებ. იხ: „ტრანსგენდერი ადამიანების სქესის აღიარების სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო მაგალითები", 2012 წელი, იდენტობა, გვ.13.

97 General Comment No. 14 of the Committee on Economic, Social and Cultural Rights, paragraph 8, and the Oviedo Convention on Human Rights and Biomedicine of 4 April 1997, ETS No. 164, part II

გენდერის ლეგალური აღიარებისათვის ქირურგიული ჩარევის მოთხოვნა ასევე ეწინააღმდეგება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნას (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-2 და 26-ე მუხლი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-2 მუხლი).

ევროსაბჭომ თავის რეკომენდაციაში CM/Rec(2010)5[98] გენდერის სამართლებრივი აღიარების სტანდარტად დააწესა „სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი“ პროცედურები. ამასთან, „მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა სქესის იურიდიული აღიარებისთვის; მათ შორის, მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს, რეგულარულად უნდა იქნას გადახედილი არაჰუმანურ მოთხოვნათა გაუქმების მიზნით“.

2010 წელს ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო პროფესიულმა ასოციაციამ (WPATH) გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

> *„ადამიანებს არ უნდა უწევდეთ ქირურგიული პროცედურების ან სტერილიზაციის გავლა თავიანთი იდენტობის აღიარებისათვის. თუ სქესის მარკერის არსებობა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში აუცილებელია, რეპროდუქციული უნარების მიუხედავად, მარკერი უნდა აღიარებდეს გენდერს, რომლითაც ადამიანი ცხოვრობს. ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის დირექტორთა საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს და სხვა მმართველ ორგანოებს, გააუქმონ იდენტობის აღიარებისთვის საჭირო მოთხოვნები, რომლებიც ქირურგიულ ჩარევებს მოიცავს“.*[99]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი და სხვ. სრულად იზიარებენ ამ პოზიციას.[100] იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკას დაუშვებლად მიიჩნევს მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია (WMA) და ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFHHRO). ეს უკანასკნელი ტრანსგენდერ ადამიანებზე სპეციფიკურ

98 მინისტრთა კომიტეტის CM/REC(2010)5 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

99 http://www.wpath.org/documents/Identity%20Recognition%20Statement%206-6-10%20on%20letter-head.pdf

100 Eliminating forced, coercive and otherwise involuntary sterilization. An interagency statement. OHCHR, UN Women, UNAIDS, UNDP, UNFPA, UNICEF and WHO. 2014

აქცენტსაც კი აკეთებს[101.102]

ცალკეულ ქვეყნებში სასამართლოებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ მოთხოვნების გაუქმებასა თუ ადამიანის უფლებებთან შეუსაბამოდ მიჩნევაში. მაგალითად, ავსტრიის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის არ არის აუცილებელი გენდერის ცვლილების ოპერაციის მტკიცებულება. გერმანიაში საკონსტიტუციო სამართლომ გააუქმა ოპერაციის გავლის მოთხოვნა და მიუთითა, რომ განმცხადებლის უფლება სექსუალურ თითგამორკვევაზე გადაწონიდა კანონმდებლის ინტერესს აეცილებინა თავიდან შეუსაბამობა ბიოლოგიურ და სამართლებრივ გენდერს შორის. სასამართლომ სრულიად ზედმეტ და არაპროპორციულ მოთხოვნად მიიჩნია ასევე მუდმივი უნაყოფობის (სტერილიზაცია) მოთხოვნა. შვეიცარიის სასამართლომ კი მიუთითა, რომ ჰორმონული თერაპიის მოთხოვნა ძალიან ჰგავდა ოპერაციის გავლის მოთხოვნას და ამიტომ საჭიროებდა იმავე მიდგომას, რასაც ქირურგიული ჩარევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო ჩარევის ნებისმიერი ფორმა ყოველთვის და პირდაპირ არღვევს შესაბამისი პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობას და სამართლებრივი თვალსაზრისით მეტად პრობლემატურია.[103]

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი წუხილის საგნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ტრანსგენდერი ადამიანები გვევლინებიან ერთადერთ ჯგუფად ევროპაში, რომელიც ექვემდებარება სამართლებრივად დადგენილ, სახელმწიფოს მიერ აღსრულებულ სტერილიზაციას. კომისარი ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, გააუქმონ სტერილიზაცია და სხვა სავალდებულო სამედიცინო ჩარევა, როგორც აუცილებელი იურიდიული მოთხოვნა პირის გენდერული იდენტობის აღიარებისათვის.[104]

იგივე მიდგომაა ასახული ჯოკიაკარტას მე-3 პრინციპში: „არავინ უნდა იყოს იძულებული გაიაროს სამედიცინო პროცედურები, სქესის შეცვლის ოპრაციის, სტერილიზაციის ან ჰორმონული თერაპიის ჩათვლით, როგორც მათი გენდერის სამართლებრივი აღიარების წინაპირობა".[105]

101 WMA & IFHHRO, „გლობალური ორგანიზაციები იძულებითი სტერილიზაციის აღკვეთას მოითხოვენ" მედიაპუბლიკაცია, 5 სექტემბერი 2011)

102 დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ტრანსგენდერ ადამიანთა იძულებითი სტერილიზაციის თაობაზე შეგიძლიათ იხ. WISG-ის ILGA-Europe-სა და TGEU-ს მიერ ევროპის სოციალური ქარტიისათვის მომზადებულ ერთიან ჩრდილოვან ანგარიშში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ. 2014.

103 რ. კოჰლერი, ა. რეჩერი, ჯ. ეჰრტი: „გენდერის სამართლებრივი აღიარება ევროპაში", 2013 წლის დეკემბერი, TGEU გვ. 42, 43.

104 Hammarberg, T. July 2009, "Issue Paper on Human Rights and Gender Identity," Office of the Commissioner for Human Rights, Council of Europe, Strasbourg, France.

105 ჯოკიაკარტას პრინციპებიhttp://www.yogyakartaprinciples.org/principles_en.pdf

გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის წინაპირობები, მათ შორის, ფიზიკური ხასიათის ცვლილებები, რეგულარულად უნდა გადაიხედოს, რათა ამოღებულ იქნას ძალადობრივი, არაჰუმანური მოთხოვნები.[106]

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე დისკრიმინაციის გარეშე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ლგბტი ჯგუფის წარმომადგენელთა და, განსაკუთრებით, ტრანსგენდერ ადამიანთა დისკრიმინაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უფლებადამცველთა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. გასულ წლებში ადამიანის უფლებათა სფეროში გაჩნდა კონცეფცია, რომელიც გენდერული თვითგამოხატვის თავისუფლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად აღიარებს. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასევე ცალსახად არის შეფასებული ადამიანის უფლებების დარღვევად.[107]

სტიგმასა და დისკრიმინაციას, კერძოდ – ჯანდაცვის სფეროში, ხშირად ასახელებენ, როგორც ძირითად ბარიერებს ისეთ საარსებო (მნიშვნელოვან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან) სერვისებზე ხელმისაწვდომობაში, რომლებიც ეხება აივ ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ სხვა ინფექციებს, ასევე, ტრანსგენდერი ადამიანებისთვის საჭირო სპეციფიკურ მხარდაჭერასა და ზოგად ჯანდაცვას.

> *„დისკრიმინაციის ინსტიტუციონალიზაცია ხშირად სამედიცინო მომსახურების იმ სარეგისტრაციო განყოფილებიდან იწყება, სადაც სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები პაციენტებისგან დაჟინებით მოითხოვენ მხოლოდ ორი გენდერიდან ერთ–ერთის გამოყენებას, და სადაც ადამიანებს ხვდებიან თანამშომლები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, აკლიათ სენსიტიურობა და განმკიცხავ დამოკიდებულებას ავლენენ“[108].*

სამედიცინო პერსონალის მხრიდან სტიგმის, შესაძლო დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალისთვის

106 CM/Rec(2010)5. para.20

107 5 Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on Discriminatory laws and practices and acts of violence against individuals based on their sexual orientation and gender identity. Geneva, United Nations Human Rights Council, 2011

108 UNDP 2013, Transgender Health and Human Rights . Discussion Paper.

კვალიფიკაციის/რეკვალიფიკაციისა თუ სერტიფიცირების პროგრამებსა და კურიკულუმებში ტრანსგენდერობისა და ტრანსსპეციფიკური სერვისების შესახებ საბაზისო ინფორმაციის ჩართვა[109]; ეთიკისა და ზრუნვის სტანდარტებში გენდერული იდენტობის მითითება, როგორც ხაზგასმა აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანებაზე; ტრანსსენსიტიური ქცევის კოდექსებისა და გაიდლაინების შემუშავება კლინიკების დონეზე[110]. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მჭიდრო თანამშრომლობას ტრანსგენდერ აქტივისტებსა და უფლებადამცველებთან.

ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების ტრანსსენსიტიურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყანაში არსებული ტრანსფობიის, დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის ყოველდღიური პრაქტიკა, ფიზიკური და პერმანენტული ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება სერიოზულ გავლენას ახდენს ტრანსგენდერი ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ამასთან, გაიდლაინების/ ტრენინგთა მოდულების შემუშავებისას მნიშვნელობა ენიჭება კლინიკის/ სერვისის ტიპსა და პროფილს. როგორც წესი, გამოიყენება სამდონიანი მოდელი: **საბაზისო კურსი** გათვლილია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე ყველა სპეციალისტისთვის და ორიენტირებულია საბაზისო ცოდნაზე გენდერის/ სქესის/სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ტრანსსენსიტიური პროტოკოლის ცოდნაზე[111], განსხვავებაზე არაპრობლემურ გენდერულ იდენტობას/ ქცევასა და იმ შემთხვევებს შორის, რომლებიც, შესაძლოა, იმსახურებდეს კლინიცისტის ყურადღებას (განსაკუთრებით, ბავშებსა და მოზარდებში). **საშუალო დონე** ეხება იმ კლინიკებს, რომლებიც სთავაზობენ ზოგად ჯანდაცვის სერვისებს ტრანსგენდერ ადამიანებს. ისინი უნდა იცნობდნენ ჯგუფის ზოგად ფსიქო-სოციალურ თავისებურებებს, გენდერული იდენტობის განვითარების ეტაპებს და უნდა შეეძლოთ მუშაობა გენდერულად არაკონფორმულ კლიენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან; ბოლო, **მესამე დონე** ეხება კლინიკებს, რომლებიც ტრანსსპეციფიკურ სერვისებზეა ორიენტირებული და იქ მომუშავე პერსონალისაგან სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.[112]

ჰომო- და ტრანსფობია, ასევე აივ ინფექციასთან დაკავშირებული სტიგმა

---

109 ibid

110 ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ საუკეთესო გაიდლაინად მიჩნეულია ფენვეის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გაიდლაინი სამედიცინო პერსონალისათვისMakadon HJ et al, eds. Fenway Guide to Lesbian, Gay, Bisexual and Transgender Health. Philadelphia, American College of Physicians, 2008.

111 მაგ. იხ. Primary Care Protocol for Transgender Patient Care. San Francisco, Center of Excellence for Transgender Health, University of California, 2011

112 Recommended Framework for Training Mental Health Clinicians in Transgender Care. 2006.

ხშირად გადაჯაჭვულია ერთმანეთთან და კიდევ უფრო აუარესებს ლგბტი ჯგუფის წარმომადგენელთა ხელმისაწვდომობას საჭირო სერვისებზე. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ფაქტორს, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა სპეციფიკა და საჭიროებები ასახული იყოს აივ/შიდსის პრევენციის გეგმებსა და სტრატეგიებში. 2011 წელს WHO-მ გამოსცა სპეციალური სახელმძღვანელო MSM და ტრანსგენდერი ადამიანების ჯგუფში აივ და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების პრევენციისა და მართვისათვის[113]. თუმცა, ითვალისწინებს რა ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების სპეციფიკას, რეკომენდაციით მიმართავს ცალკეულ ქვეყნებს, ადგილზე, არსებული კანონმდებლობისა და კონტექსტის გათვალისწინებით შეისწავლონ ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები და ასახონ შესაბამის გეგმებსა და სტრატეგიებში.

ფინანსური ხელმისაწვდომობა

სქესის კვლავმინიჭებისათვის საჭირო სამედიცინო პროცედურის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ევროპის ბევრ ქვეყანასა და კანადაში, ხოლო საკითხის სამართლებრივი რეგულირების მხრივ საუკეთესო მაგალითად არგენტინა ითვლება.[114] არგენტინის კანონის მიხედვით, ჯანდაცვის სფეროს მუშაკებმა, იმის მიუხედავად, თუ რომელი სადაზღვევო სისტემიდან არიან - სახელმწიფო, კერძო თუ პროფკავშირების - უნდა მოახდინონ ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებების გარანტირება. ყველა სამედიცინო პროცედურა, რომელიც არგენტინის კანონშია მითითებული (სრული ან ნაწილობრივი ქირურგიული ჩარევა, ჰორმონული მკურნალობა) მოცულია სავალდებულო სამედიცინო გეგმით. ეს ნიშნავს, რომ ისინი არ ექვემდებარებიან დამატებით ხარჯებს მათთვის, ვისაც კერძო ან პროფკავშირების სადაზღვევო გეგმები აქვთ.[115]

იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც არ მუშაობს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემები, საუკეთესო მაგალითად ითვლება კალიფორნიის პრაქტიკა, სადაც შესაბამისი სამართლებრივი აქტი კრძალავს დისკრიმინაციას გენდერის საფუძველზე დაზღვევის სფეროში[116]. დიდ ბრიტანეთში სქესის კვლავმინიჭებასთან

113 Prevention and treatment of HIV and other sexually transmitted infections among men who have sex with men and transgender people: recommendations for a public health approach. Geneva, World Health Organization, 2011

114 ე. აღდგომელაშვილი. „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში", საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. WISG. თბილისი. 2013.

115 არგენტინის გენდერული იდენტობის კანონის მე-11 მუხლი.

116 AB 1586 Insurance Gender Non-Discrimination Act.

დაკავშირებული სამედიცინო პროცედურებისათვის საჭირო ხარჯების დაფარვის საკითხი რეგულირდება ტრანსგენდერი ადამიანების თანასწორობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფარგლებში[117].

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ტრანზიციისათვის საჭირო პროცედურის ხარჯების დაფარვას დაზღვევის მიერ, იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.[118]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღიარებს გენდერული თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ერთ-ერთ ასპექტს და მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ სურვილის შემთხვევაში უზრუნველყონ ქირურგიული ჩარევის შესაძლებლობა სქესის შესაცვლელად. ამასთან, დაზღვევის სქემა უნდა მოიცავდეს „აუცილებელ სამედიცინო" მკურნალობას, რომლის ნაწილიც შეიძლება, იყოს სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაცია[119]. იქ, სადაც აუცილებელი სამედიცინო მომსახურების დაფარვა საჯარო ან კერძო სოციალური დაზღვევის სისტემების მხრიდან კანონით რეგულირდება, ასეთი დაფარვა უნდა იყოს გონივრული, გათვლილი და არადისკრიმინაციული[120] და ითვალისწინებდეს რესურსებს.

ევროსასამართლომ 2003 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ვან კუკი გერმანიის წინააღმდეგ". განმცხადებელი ჩიოდა კერძო სადაზღვევო კომპანიიდან გენდერის ცვლილების ღონისძიებების დაფინანსების საკითხზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ევროკონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. რამდენადაც გენდერული იდენტობა წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ინტიმურ სფეროს, არაპროპორციული იყო მომჩივნისგან იმის მოთხოვნა, რომ დაემტკიცებინა აღნიშნული მკურნალობის სამედიცინო აუცილებლობა. ერთის მხრივ, დაზღვევის კომპანიის ინტერესებსა და, მეორეს მხრივ, ინდივიდის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი არ იყო დამყარებული.[121]

წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა

---

117 5 HM Government (2011), Advancing transgender equality: a plan for action,

118 CM/Rec(2010)5, 36-ე პარაგრაფი:

119 Van Kück v Germany, no 35968/07, 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტები. 73 to 86.

120 იხ.: L v Lithuania, 2007 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება, §59, და Schlumpf v Switzerland, no 29002/06, 2009 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, §115.

121 http://echr.coe.int/Documents/FS_Gender_identity_ENG.pdf

კომისრის რეკომენდაციაა, რომ ტრანსგენდერი პირებისათვის ხელმისაწვდომი გახადონ ტრანზიციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურები, როგორებიცაა ჰორმონული მკურნალობა, ქირურგია ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და უზრუნველყონ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის სქემებით.[122]

ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება

ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სერვისები და ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაცია

ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაციის მთავარი გამოწვევა უკავშირდებოდა ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის სერვისების მიღების შესაძლებლობას იმ ადამიანებისათვის, ვინც საჭიროებს ასეთ ჩარევას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფლებადამცველების, აქტივისტებისა და ჯანდაცვის სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით მიღწეული იქნა ერთგვარი კონსენსუსი, რომელიც საშუალებას აძლევს ტრანს ადამიანებს, შეძლონ გენდერის სამართლებრივი აღიარება და ტრანზიციასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სერვისების მიღება ისე, რომ არ მოხდეს ტრანს იდენტობისა და გენდერული თვითგამოხატვის პათოლოგიზაცია.

ჯოკიაკარტის პრინციპებში, რომლებიც მოიცავენ სტანდარტების ფართო სპექტრს ადამიანის უფლებათა სფეროში და მათი გამოყენების შესაძლებლობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში, ხაზგასმულია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის სამედიცინო ჩვენებად დეფინიციის დაუშვებლობა. მე-18 პრინციპი, რომელიც განიხილავს ლგბტი პირების საჭიროებას, დაცული იყვნენ სამედიცინო დარღვევებისგან, აცხადებს: *„იძულების წესით არავინ უნდა გაიაროს რამე სახის სამედიცინო მკურნალობა, პროცედურები, ტესტირება ან მოთავსებული იქნას სამედიცინო დაწესებულებაში სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე. ნებისმიერი კლასიფიკაციის მიუხედავად, ამა თუ იმ პირის არც სექსუალური ორიენტაცია და არც გენდერული იდენტობა თავისთავად არ წარმოადგენს სამედიცინო ჩვენებას და არ ექვემდებარება მკურნალობას, განკურნებას ან დათრგუნვას".*[123]

122 Hammarberg, T. July 2009, "Issue Paper on Human Rights and Gender Identity," Office of the Commissioner for Human Rights, Council of Europe, Strasbourg, France.

123 ჯოკიაკარტის პრინციპები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების გამოყენების პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებაში. თარგმანი. WISG. თბილის, 2012.

ამ კონტექსტში „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის“ მეათე ვერსიის (ICD-10) გადახედვა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში (WHO) ახალი ვერსიის (ICD-11) გამოცემა წარმოადგენს ისტორიულ შესაძლებლობას, დაცული იყოს ტრანსი ადამიანებისთვის სრული ხელმისაწვდომობა როგორც გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე, ასევე, ტრანზიციასთან დაკავშირებულ ჯანდაცვის სერვისებზე და ეს ყოველივე წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ადამიანის უფლებებთან.

ბოლო დრომდე ფსიქიკური დაავადებების კლასიფიცირების ორივე საერთაშორისო სისტემა, ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელო (DSM-III, DSM-IV) და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორი (ICD-9, ICD-10), ტრანსგენდერობას განიხილავდა, როგორც ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის ფორმას, რაც ხელს უწყობდა ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების სტიგმატიზაციას.

2010 წლის მაისში ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიულმა ასოციაციამ (WPATH) გამოაქვეყნა მიმართვა გენდერული არაკონფორმულობის დეპათოლოგიზაციის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულ მიმართვაში ხაზგასმული იყო, რომ „გენდრული თვითგამოხატვა, იდენტობის ჩათვლით, რომელიც სტერეოტიპების გავლენით არ ასოცირდება დაბადების (ანატომიურ) სქესთან, წარმოადგენს კულტურული მრავალფეროვნების ადამიანურ ფენომენს, რომელიც არ შეიძლება, განხილული იქნას, როგორც პათოლოგია ან შეფასდეს ნეგატიურად“.[124] განცხადებაში მითითებული იყო, რომ პათოლოგიზაცია აძლიერებს სტიგმას და წინასწარგანწყობებს, ხელს უწყობს დისკრიმინაციული პრაქტიკების ჩამოყალიბებას ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ.[125]

დაგროვებულმა კლინიკურმა გამოცდილებამ, კვლევების სიუხვემ, რომლებიც ადასტურებდა კულტურული თუ სხვა ფაქტორების გავლენას გენდერსა და სექსუალობაზე, DSM-ზე მომუშავე ჯგუფი მიიყვანა დიაგნოზის გადახედვის აუცილებლობამდე. DSM-V-ში კი კლინიკურ დიაგნოზად მითითებულია მხოლოდ „გენდერული დისფორია“, რაც არა მხოლოდ ტრანსგენდერობის, როგორც იდენტობის, და დისფორიის ერთმანეთისგან გამიჯვნის საშუალებას იძლევა, არამედ ახდენს ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაციასაც[126]. “

124 http://www.wpath.org/uploaded_files/140/files/de-psychopathologisation%205-26-10%20on%20letterhead.pdf

125 2015 წელს, WPATH-მა გამოაქვეყნა ახალი მიმართვა, რომელშიც ასახულია DSM V ში შეტანილი ცვლილებები. http://www.wpath.org/uploaded_files/140/files/WPATH%20Statement%20on%20Legal%20Recognition%20of%20Gender%20Identity%201-19-15.pdf

126 „გენდერული დისფორიის“ გამოყენება დიაგნოზად ასევე კრიტიკის საგნად რჩება

„დღეს უკვე ითვლება, რომ მკურნალობა სჭირდება გენდერულ დისფორიას და არა - თავად ტრანსგენდერულ იდენტობას. გენდერული დისფორია, იგივე დისტრესი, შფოთვისა და ობსესიის რანგის აშლილობას ასახავს, ამ შფოთვას კი აქვს კონკრეტული საფუძველი. გენდერული დისფორიის შემთხვევაში სამკურნალო პროცედურების ფართო სპექტრზეა ლაპარაკი: ჰორმონული თერაპიის სხვადასხვა ფაზა, ქირურგიული ჩარევის სხვადასხვა ეტაპი, ბიჰევიურ-კოგნიტური თუ სხვა ტიპის ფსიქოთერაპია, რესოციალიზაცია და ა.შ. მაღალია მკურნალობის რისკები (ჰორმონების გვერდითი მოვლენები, ქირურგიული ჩარევის გართულებები და ა.შ.), შესაბამისად, დიაგნოზი, მისი კრიტერიუმები და მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის ჩვენება მკაცრად უნდა განისაზღვროს“.[127]

რაც შეეხება ICD-10-ს, რომელიც დღეისათვის აღიარებულ, მოქმედ საერთაშორისო კლასიფიკატორს წარმოადგენს, მასში მოცემული განმარტებები უკიდურესად ხისტი და მოუქნელია ტრანსსპეციფიკური საკითხების დიაგნოსტირების თვალსაზრისით და უკიდურესად ვიწროდ განიხილავს გენდერული სპექტრის მთელ მრავალფეროვნებას. ICD-ის მე-11 გადახედვა 2015 წლის მაისშია დაგეგმილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამუშაო ჯგუფმა, რომელიც სექსუალური დისფუნქციებისა და სექსუალური ჯანმრთელობის საკითხებზე მუშაობს (WGSDSH), მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა ტრანსსპეციფიკური კატეგორიების რევიზიისათვის. მეცნიერებისათვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს სწორი ბალანსის პოვნა, მოახდინოს ტრანსსპეციფიკური საკითხების აღწერა და დიაგნოსტირება იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, არ მოხდეს ადამიანების სტიგმატიზაცია და მეორე მხრივ, იმ ადამიანებისთვის, ვისაც ამის საჭიროება აქვს, შენარჩუნებული იქნას ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე.

მონოგრაფიები, რომლებიც სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა, უკიდურესად მრავალფეროვანია და დეტალურად აღწერს კულტურული ფაქტორებისა და ნოზოლოგიის გავლენას (მათ შორის, კულტურული ფაქტორების გავლენას შფოთვისა და დეპრესიის გამოვლენასა და სიღრმეზე), ფსიქიკური აშლილობების კლასიფიკაციის გამოცდილებას სხვადასხვა ქვეყნებში, სოციო-კულტურულ ფაქტორებს სომატური

აქტივისტებისათვის, რადგან მიიჩნევენ, რომ ტერმინი ბუნდოვანია და ამასთან, ახდენს ტრანზიციის პროცესის მედიკალიზაციას. იხ. მაგ. STP_Communique. Reflections from STP regarding the ICD revision process and publication of the DSM V. 2013. http://www.stp2012.info/STP_Communique_August2013.pdf

127 მ. ჭავჭანიძე. კლინიკური სექსოლოგიის პროპედევტიკა. თბილისი. 2014

აშლილობების კონტექსტში და სხვ. [128]

ICD-11-ის სამუშაო ვერსიაში[129] უკვე შესაძლებელია კატეგორიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებების ნახვა. ტრანსსპეციფიკური საკითხები ფსიქიკური ჯანმრთელობის სექციის ნაცვლად, ჩართული იქნება სექსუალური ჯანმრთელობის ქვეთავში, რომელიც ახალ რედაქციაში დამოუკიდებელ კატეგორიად იქნება წარმოდგენილი. ICD-10-ში გამოყენებული ტერმინები „გენდერული იდენტობის დარღვევები" ჩანაცვლებული იქნება ახალი, ნაკლებ მასტიგმატიზებელი ტერმინით: „გენდერული შეუსაბამობა" (Gender Incongruence).[130] თუმცა, გენდერის ტრანზიციასთან დაკავშირებულ კატეგორიებზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. დღემდე დებატების საგნად რჩება გენდერული დისფორიის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის საკითხები ბავშვებში.[131]

იმ ქვეყნების უმეტესობაში, რომლებიც არ კრძალავენ/დასაშვებად მიიჩნევენ ტრანსგენდერი ადამიანებისთვის საჭირო სპეციფიკურ სამედიცინო მომსახურებას ჰორმონული თერაპიისა და სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული პროცედურების ჩათვლით, შესაბამისი კლინიკები/სპეციალისტები ხელმძღვანელობენ ტრანსგენდერთა ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის (WPATH) მიერ შემუშავებული კლინიკური გაიდლაინით - „სამედიცინო ზრუნვის სტანდარტები ტრანსსექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანებისათვის" (SOC)[132]. გაიდლაინი მოიცავს ისეთ

---

128 Darrel a. Regier , Emily a. Kuhl, David j. Kupfer. The DSM V: classification and criteria changes. World Psychiatry 2013;12:92–98.; Drescher, J. Controversies in Gender Diagnoses. LGBT Health Volume 1, #1, 2013.

129 ICD-11 -ის სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სპეციალურ ვებ-გვერდზე: http://apps.who.int/classifications/icd11/browse/l-m/en; უშუალოდ „გენდერულ შეუსაბამობაზე" იხ: http://apps.who.int/classifications/icd11/browse/l-m/en#/http%3a%2f%2fid.who.int%2ficd%2fentity%2f411470068

130 ICD-11-ზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც მუშაობს სექსუალური აშლილობებისა და სექსუალური ჯანმრთელობის საკითხებზე, თვლის, რომ აუცილებელია უარის თქმა მოდელზე, რომელიც ახდენს ტრანსგენდერთა ფსიქოპათოლოგიზაციას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ საჭიროა ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც: 1) ასახავს ამ სფეროში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგებსა და საუკეთესო პრაქტიკებს; 2) უფრო მგრძნობიარე იქნება ამ მოწყვლადი ჯგუფის უფლებების, გამოცდილებისა და საჭიროებების მიმართ და 3) მიმართული იქნება ჯანმრთელობის სერვისების მაღალი სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე (Drescher, Cohen-Kettenis, Winter 2012: 575)

131 Critique and Alternative Proposal to the "Gender Incongruence of Childhood" Category in ICD-11. GATE Civil Society Expert Working Group Buenos Aires, April 4-6, 2013

132 World Professional Association for Transgender Health (2011) Standards of Care for the Health of Transsexual, Transgender, and Gender Nonconforming People (7th Version). WPATH. ამჟამად ხელმისაწვდომია გაიდლაინის მეშვიდე გადახედვა, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ვერსიებისაგან. ცვლილებები ეფუძნება დაგროვებულ კლინიკურ გამოცდილებას, კულტურულ ცვლილებებს, ასევე იმის აღიარებას, რომ ტრანსსექსუალ, ტრანსგენდერ და გენდერუალდ არაკონფორმულ ადამიანებს, ჰორმონული თერაპიისა და ქირურგიული ოპერაციის გარდა აქვთ სხვა საჭიროებები და ბარიერები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. Coleman, E. (2009a). Toward version 7 of the WPATH's Standards of Care. International Journal of Transgenderism, 11(1), 1–7; Coleman, E. (2009b). Toward version 7 of the WPATH s Standards of Care: Psychological assessment and approaches to treatment. International Jour-

საკითხებს, როგორებიცაა:

ა) განსხვავება გენდერულ არაკონფორმულობასა და გენდერულ დისფორიას შორის;

ბ) ეპიდემიოლოგია;

გ) თერაპიული მიდგომების მიმოხილვა გენდერული დისფორიის მკურნალობისას;

დ) გენდერული დისფორიის შეფასება და მკურნალობა ბავშვებსა და მოზარდებში;

ე) ფსიქიკური ჯანმრთელობა;

ვ) ჰორმონული თერაპია;

ზ) რეპორდუქციული ჯანმრთელობა;

თ) ხმის „დაყენება“ და კომუნიკაციური თერაპია;

ი) ქირურგიული ჩარევა;

კ) პოსტოპერაციული პერიოდი - ზრუნვა და კონტროლი და სხვ.

ლ) ცხოვრების მანძილზე პრევენციული და პირველადი ჯანდაცვა;

მ)“ზრუნვის სტანდარტების“ გამოყენების შესაძლებლობა ინსტიტუციურ გარემოში მცხოვრებ ადამიანებთან; “ზრუნვის სტანდარტების გამოყენება ადამიანებთან, რომლებსაც სქესობრივი განვითარების დარღვევა აქვთ.

გაიდლაინში ინტეგრირებულია კვლევების შედეგები ჰორმონულ თერაპიასთან დაკავშირებული რისკების შეფასების შესახებ[133], კრიტერიუმების ჩამონათვალი ჰორმონული თერაპიისა და ქირურგიული ოპერაციებისათვის[134] და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გაიდლაინი გათვლილია საერთაშორისო გამოყენებაზე, WPATH აღიარებს, რომ ის ძირითადად ეფუძნება ჩრდილოამერიკულ და დასავლეთევროპულ კლინიკურ კვლევებსა და ცოდნას ჯანდაცვის სფეროში. ამასთან, ითვალისწინებს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც უკავშირდება დამოკიდებულებას ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მიმართ, გენდერულ როლებსა და

nal of Transgenderism, 11(2), 69–73; Coleman, E. (2009c). Toward version 7 of the WPATH's Standards of Care: Hormonal and surgical approaches to treatment. International Journal of Transgenderism, 11(3), 141–145.; Coleman, E. (2009d). Toward version 7 of the's Standards of Care: Medical and therapeutic approaches to treatment. International Journal of Transgenderism, 11(4), 215–219.

133 Hembree WC et al. Endocrine Treatment of Transsexual Persons: An Endocrine Society Clinical Practice Guideline. The Journal of Clinical Endocrinology and Metabolism, 2009,94:3132–3154.

134 Sohn M, Bosinski HA. Gender identity disorders: diagnostic and surgical aspects. The Journal of Sexual Medicine, 2007, 4:1193–1207. Makadon HJ et al, eds. Fenway Guide to Lesbian, Gay, Bisexual & Transgender Health. American College of Physicians, 2008

სტრატიფიკაციას კონკრეტულ კულტურაში; ენას, რომელიც გამოიყენება განსხვავებული გენდერული იდენტობების აღსაწერად, ეპიდემიოლო–გიას, ხელმისაწვდომობას მკურნალობაზე, შეთავაზებულ რესურსებს, სპეციალისტების რაოდენობასა და პროფილს, სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებს, რაც არეგულირებს ამ კონკრეტულ საკითხებს ქვეყნის შიგნით და სხვ. შესაბამისად, სახელმძღვანელოს ავტორები თვლიან, რომ ამ სტანდარტების გამოყენებისას განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ეს განსხვავებები და მოახდინონ გაიდლაინის ადაპტაცია არსებული რეალობის შესაბამისად.

სწორედ ამიტომ, არსებობს ცალკეული განსხვავებები იმ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკებს შორის, რომლებიც ზრუნვის ძირითად სტანდარტად სწორედ WPATH-ის გაიდლაინს აღიარებენ. აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთისა და დასავლეთ ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში დამკვიდრებული კლინიკური პრაქტიკები განსხვავდება ერთმანეთისაგან ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისების ეტაპების ხანგრძლივობისა და ურთიერთგანპირობებულობის მიხედვით. მაგ. ტრანზიციის პროცესი ზოგან აუცილებელ ეტაპად მიიჩნევს „შესაბამისი გენდერით ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებას“ (რომლის ხანგრძლივობა ასევე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებისათვის), ზოგან საერთოდ არ მახვილდება ყურადღება ამ საკითხზე. ზოგ ქვეყანაში სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციისათვის საკმარისია პირველადი დიაგნოზი გენდერული დისფორიის შესახებ, ზოგან ხელახალი სარეკომენდაციო წერილია საჭირო, რომელიც ადასტურებს ჰორმონული თერაპიის კურსის დასრულებას და შემდგომი პროცედურების ჩატარების აუცილებლობას.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკები ასევე განსხვავდება ტრანსსპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების მიწოდების თვალსაზრისითაც. ქვეყნების უმეტესობაში ასეთი სერვისები თავმოყრილია სპეციალიზებულ, მულტიპროფილურ კლინიკებში (მაგ. ნორვეგია და ფინეთი) და სახელმწიფო, თავის მხრივ, აღიარებს მხოლოდ ამ კლინიკაში გაცემულ დიაგნოზებსა და ცნობებს გენდერის ლეგალური აღიარებისას. სხვა პრაქტიკა არსებობს მაგ. დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში: სპეციალიზებული კლინიკების პარალელურად, ასეთი ცნობა შესაძლოა, ნებისმიერმა მოქმედმა ფსიქოლოგმა ან ფსიქიატრმა გასცეს (თუმცა, ფორმას თან ერთვის სპეციალური დანართები, სადაც ასახული უნდა იყოს კონკრეტული სპეციალისტის ლიცენზია, გამოცდილება და ა.შ.)[135.]

135 აღსანიშნავია, რომ SOC 7 -ი ასე ვიწროდ არ განსაზღვრავს იმ სპეციალისტების წრეს, ვისაც შეუძლია, დასვას დიაგნოზი და თვლის, რომ გენდერული დისფორიის მკურნალობის პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტსაც (მაგ. ენდოკრინოლოგს) შეუძლია ასეთი ცნობის გაცემა.

ზრუნვის აღნიშნული მოდელი ასევე კრიტიკის საგანია ტრანსგენდერი უფლებადამცველების მხრიდან[136]. მათ მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული მოდელი გულისხმობს აქცენტის წანაცვლებას ტრანსგენდერული იდენტობიდან (როგორც სამედიცინო ჩარევის წინაპირობა) ტრანსფობიაზე. აღნიშნული მოდელი პირველ ეტაპზე საჭიროდ მიიჩნევს საჭიროებების იდენტიფიცირებას და დასაწყისშივე ითვალისწინებს სოცმუშაკების ჩართვას ზრუნვის მოდელში.

> *„პაციენტის მკურნალობისათვის მზაობასა და უფლებაზე ყურადღების გამახვილებაზე მეტად, მკურნალი ექიმი ეხმარება მას, ხელი მიუწვდებოდეს სათემო მხარდაჭერის რესურსებზე, განიხილავს ცხოვრების სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს, მათ შორის, მათაც, რომლებიც სქესობრივი ბინარული ოპოზიციის გარეთ არსებობს და ეხმარება, მიიღოს გადაწყვეტილება, საჭიროა თუ არა მეორადი სასქესო მახასიათებლების ჩახშობა ან ქირურგიული ჩარევა. მანამდე გაცემული ფსიქიატრიული დიაგნოზის არსებობის შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას დაბრკოლება ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხელმისაწვდომობაში.*
>
> *აღნიშნული მოდელი ხაზს უსვამს სათემო მხარდაჭერის არსებობის მნიშვნელობას, რადგანაც სოციალური მარგინალიზაცია და მარტოობა ერთ-ერთი იმ შედეგთაგანია, რომელსაც სტიგმატიზაცია იწვევს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის მიხედვით ფსიქიატრიული კონსულტაცია ნებაყოფლობითია.*
>
> *საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ პაციენტი განაგრძობს სპეციალისტთან კონსულტაციას ქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის სხვა მეთოდების შესახებ. ამ ფაზაში პაციენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია არა მხოლოდ ქირურგიული ჩარევის სხვადასხვა მეთოდზე, არამედ, აგრეთვე, ისეთი სოციალური ასპექტების ირგვლივაც, როგორებიცაა ფიზიკური ტრანზიციის რისკები და მისი დადებითი შედეგები. ქირურგიული ჩარევის შემდეგ, პაციენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემდგომი ხელმისაწვდომობა.*[137]“

---

136 „პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ტრანს ჯანდაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკების გზამკვლევის შექმნისაკენ არის გაბატონებული სამედიცინო პარადიგმის ხელახლა კონცეპტუალიზაცია, რადგან ტრანს იდენტობა არ განაპირობებს იმას, რომ ადამიანი ეძებს სამედიცინო ჩარევას; მამოძრავებელი ძალა, ამ შემთხვევაში, იმ საზოგადოებრივი ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც ტრანს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ასე ართულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პრობლემაა არა ტრანსსექსუალობა, არამედ ტრანსფობია. ამგვარად, საჯარო ჯანდაცვის ჩარევის ფოკუსი ასეთ შემთხვევებში უნდა იყოს ჯანმრთელობის დეფიციტი, რაც დგება იმის შედეგად, რომ ინდივიდის ბუნებრივ განვითარებას ხელი ეშლება საზოგადოების მიერ თავსმოხვეულ გენდერულ ნორმებთან შეუსაბამობის გამო“. Best practices guide to trans health care in the national health system. STP. 2012

137 ibid

დასკვნები/რეკომენდაციები

პრობლემების სპექტრი, რომლის წინაშეც დგანან ტრანსგენდერი ადამიანები საქართველოში, საკმაოდ ფართოა. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხებთან დაკავშირებული პროცესების დაურეგულირებლობა სახელმწიფოს მხრიდან ზრდის უმუშევრობისა და სიღარიბის რისკს, ხელს უწყობს ჯგუფის წევრთა მარგინალიზაციას და კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის მათ საზოგადოებაში არსებული ტრანსფობიური დანაშაულების მიმართ. თავის მხრივ, სტიგმა, უმუშევრობა, სიღარიბის რისკები, კიდევ უფრო ხელმიუწვდომელს ხდის სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურებს, რომელთა გავლაც, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია გენდერის ლეგალური აღიარებისათვის. ამგვარად, იქმნება ერთგვარი მანკიერი წრე, რომლისგან თავის დაღწევაც ძალიან ძნელია.

მიუხედავად ბოლო წლებში საკანონმდებლო დონეზე მიღწეული პროგრესისა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში რჩება უამრავი ხარვეზი, რაც დამატებითი ზომების მიღებას საჭიროებს კანონებისა და ნორმატიული აქტების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში არსებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სამედიცინო ტრანზიციის პროცესის ერთმანეთზე მიბმას, მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით. ტრანსგენდერობის ფართო სპექტრის იგნორირების გამო (სამედიცინო ჩარევის თვალსაზრისით, პროცესი შეიძლება, მოიცავდეს მხოლოდ მცირე მასშტაბის ჩარევას, თერაპიას, ისევე, როგორც სქესის კვლავმინიჭების ქირურგიულ ოპერაციას) ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება არასასურველ და საჭიროებას მოკლებულ სამედიცინო ჩარევებსა და გენდერის სამართლებრივ აღიარებას შორის.

გენდერის სამართლებრივი აღიარების პრაქტიკა, რომელიც იძულებით სტერილიზაციას მოითხოვს, ეწინააღმდეგება თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნას (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-2 და 26-ე მუხლი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მე-2 მუხლი).

ევროსაბჭომ თავის რეკომენდაციაში CM/Rec(2010)5[138] გენდერის სამართლებრივი აღიარების სტანდარტად დააწესა „სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი“ პროცედურები. ამასთან, „მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულოა სქესის იურიდიული აღიარებისთვის; მათ შორის, მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს, რეგულარულად უნდა იქნას გადახედილი არაჰუმანურ მოთხოვნათა გაუქმების მიზნით“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშთა ფონდი, გაეროს მოსახლეობის ფონდი და სხვ. სრულად იზიარებენ ამ პოზიციას.[139] იძულებითი სტერილიზაციის პრაქტიკას დაუშვებლად მიიჩნევს მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია (WMA) და ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია (IFHHRO). ეს უკანასკნელი ტრანსგენდერ ადამიანებზე სპეციფიკურ აქცენტსაც კი აკეთებს.[140,141]

CEDAW კომიტეტი პირდაპირ მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, „გააუქმოს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული შეზღუდვები“.[142]

საქართველოში ტრანსგენდერობის სრული პათოლოგიზაცია და მედიკალიზაცია, რომელიც სრულად გამორიცხავს ტრანსგენდერობის ფართო სპექტრს, სამედიცინო ტრანზიციის პროცესის დაურეგულირებლობა სახელმწიფოს მხრიდან, ტრანზიციისათვის საჭირო სამედიცინო პროცედურების სიძვირე, სამედიცინო პერსონალის დაბალი ინფორმირებულობა ზოგადად ტრანსგენდერობის/ ინტერსექსუალობის შესახებ და ჯგუფის საჭიროებებზე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და სხვ., ასევე, ხელს უშლის ტრანსგენდერ ადამიანებს, მოიძიონ და მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო დახმარება.

---

138 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/REC(2010)5 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

139 Eliminating forced, coercive and otherwise involuntary sterilization. An interagency statement. OHCHR, UN Women, UNAIDS, UNDP, UNFPA, UNICEF and WHO. 2014

140 ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციების მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია და საერთაშორისო ფედერაცია, „გლობალური ორგანოები იძულებითი სტერილიზაციის აღკვეთას მოითხოვენ“, მედიაპუბლიკაცია, 5 სექტემბერი 2011)

141 დამატებითი ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ტრანსგენდერ ადამიანთა იძულებითი სტერილიზაციის თაობაზე შეგიძლიათ იხ. WISG-ის ILGA-Europe-სა და TGEU-ს მიერ ევროპის სოციალური ქარტიისათვის მომზადებულ ერთიან ჩრდილოვან ანგარიშში ჯანმრთელობის უფლების დაცვის შესახებ. 2014.

142 CEDAW/C/GEO/CO/4-5. Concluding observations on the combined fourth and fifth periodic reports of Georgia. Adopted by the Committee at its fifty-eighth session (30 June – 18 July 2014).

როგორც კვლევები აჩვენებს, სტიგმის, მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის ყოველდღიური გამოცდილების ფონზე, ტრანსგენდერ ადამიანებს სხვა სახის პრობლემებიც ექმნებათ, რაც უკავშირდება უმუშევრობასა და უსახლკარობის რისკებს. სახელმწიფოს სტრატეგია ჯანდაცვის საკითხებში, სადაც აქცენტი კეთდება სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე, არ ითვალისწინებს/არ აღიარებს ტრანსგენდერ ადამიანთა სოციალურ და ტრანსსპეციფიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.[143]

გენდერის სამართლებრივი აღიარება

პირველ რიგში, აუცილებელია მაქსიმალურად გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და სქესის კვლავმინიჭების სამედიცინო პროცედურები. იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება, მეტ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, საქართველოსათვის რელევანტური იქნება იმ ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება (მაგ. უნგრეთი), სადაც საკითხი არ რეგულირდება კანონით, თუმცა, არსებობს დამკვიდრებული ადმინისტრაციული პრაქტიკა.

არგენტინისა და დანიის მაგალითი, სადაც გენდერის ლეგალური აღიარების პროცესი საერთოდ არაა მიბმული დიაგნოზსა და სამედიცინო პროცედურებზე, საუკეთესოდ და ყველაზე პროგრესულად ითვლება. თუმცა, სულ უფრო იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც იძულებითი სტერილიზაცია აღარ მიიჩნევა გენდერის ლეგალური აღიარების აუცილებელ წინაპირობად (უნგრეთი, ესპანეთი, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, გერმანია, შვედეთი). ამ ქვეყნების უმრავლესობაში ლეგალური აღიარებისათვის საკმარისია დიაგნოზი (ზოგან დიაგნოზი და ცნობა ჰორმონული თერაპიის და/ან გარკვეული პერიოდით „პრაქტიკული გამოცდილების" ქონა). ამ მხრივ საინტერესოა დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, სადაც საპასპორტო მონაცემების შეცვლა შესაძლებელია დიაგნოზის გარეშე, მოქმედი ექიმისგან გაცემული ანგარიშის საფუძველზე, რომელიც „ადასტურებს ადამიანის საჭიროებას, იცხოვროს სხვა გენდერით".[144]

ლოგიკური იქნება, თუ ჩვენთან ამგვარი ცნობა გაიცემა მცირე ზომის მულტიპროფილური ჯგუფის მიერ, რომელშიც ჩართული იქნება სოცმუშაკიც, რათა პირველივე ეტაპზე შეფასდეს იმ ადამიანის სხვა

143 სახელმწიფო სტრატეგია ჯანდაცვის საკითხებში (2011-2015 წ)

144 იხ. დანართი N 1

სოციალური საჭიროებებიც. აღნიშნულ ცნობაში მითითებული იქნება მხოლოდ სტატუსი (და არა დიაგნოზი).

კომპრომისულ ვარიანტად შეიძლება, განვიხილოთ გენდერის ლეგალური აღიარების შესაძლებლობა სამედიცინო ტრანზიციის პირველივე ეტაპზე - გენდერული დისფორიის დიაგნოზის საფუძველზე.

- ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტრომ უნდა იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა შესაძლებელი გახდეს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვა ახალი ადმინისტრაციული პრაქტიკის დამკვიდრების გზით, რომელიც მაქსიმალურად იქნება გამიჯნული სამედიცინო ტრანზიციის პროცესისაგან;

უფლება ჯანდაცვის უმაღლეს სტანდარტზე

ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები არ არის შესწავლილი და სათანადოდ ასახული სახელმწიფო პროგრამებსა და ჯანდაცვის სტრატეგიებში. ტრანსგენდერობის/ინტერსექსუალობის შესახებ საბაზისო ცოდნის ნაკლებობა პირველადი ჯანდაცვის რგოლის სპეციალისტებში ქმნის დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ტრანსგენდერი ადამიანებისათვის. ასევე აფერხებს მათი საჭიროებების იდენტიფიცირებას და შემდგომ რეფერირებას პირველადი ჯანდაცვის დონეზე. ტრანსგენდერობა განიხილება, როგორც სამედიცინო პრობლემა, რომელიც საჭიროებს კლინიკურ ჩარევასა და მკურნალობას. ტრანსსპეციფიკურ სამედიცინო ტრანზიციასთან დაკავშირებული საკითხები ასევე არ რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან. არ არსებობს ეროვნული კლინიკური გაიდლაინები, რომლებიც უზრუნველყოფდა გაწეული სამედიცინო მომსახურების კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოში ჯანმრთელობის დაზღვევის არც სახელმწიფო და არც კერძო კომპანიების პოლისი არ ითვალისწინებს სქესის კვლავმინიჭებასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების ანაზღაურებას ტრანზიციის არც ერთ ეტაპზე. სქესის კვლავმინიჭე–ბასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო ხარჯებიხელმიუწვდომელიატრანსგენდერადამიანთაუმეტესობისათვის, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ტრანსგენდერ ადამიანებს სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში. აღნიშნული პრობლემა, შესაძლოა, დარეგულირდეს სქესის კვლავმინიჭებასთან დაკავშირებული

სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების სახელმწიფო დაფინანსების/ თანადაფინანსების შესახებ სამართლებრივი ნორმებით.

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე დისკრიმინაციის გარეშე

სამედიცინო პერსონალის მხირდან სტიგმის, შესაძლო დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა:

- ჯანდაცვისა და განათლების სამინისტრომ იმოქმედონ კოორდინირებულად, რათა გადაიხედოს სამედიცინო განათლების სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მასტიგმატიზებელ/ დისკრიმინაციულ განსაზღვრებებს;
- უზრუნველყოფილი იქნას ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალისთვის კვალიფიკაციის/რეკვალიფიკაციისა თუ სერტიფიცირების პროგრამებსა და კურიკულუმებში ტრანსგენდერობის/ტრანსსექსუალობისა და ინტერსექსუალობის შესახებ საბაზისო ინფორმაციის ჩართვა;
- ტრანსსენსიტიური ქცევის კოდექსებისა და პროტოკოლების შემუშავება კლინიკების დონეზე;
- სამედიცინო ტრანზიციის პროცესის რეგულირება ისე, რომ ტრანსგენდერ პირებს ეფექტურად მიუწვდებოდეთ ხელი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე და ამის ხარჯებს საზოგადოებრივი ჯანდაცვა ფარავდეს.

ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე

სახელმწიფოს მხრიდან მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ეროვნული კლინიკური გაიდლაინების არსებობა. ვინაიდან უკვე არსებობს ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის საერთაშორისო გაიდლაინი, რომელიც ეყრდნობა უახლეს კვლევებს დაგროვებული კლინიკური გამოცდილების შესახებ და, ამავდროულად, ასახავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ტრანსგენდერობის დეპათოლოგიზაციასთან დაკავშირებით, საჭიროა:

- ტრანსგენდერი, ტრანსექსუალი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების საჭიროებებზე ორიენტირებული საერთაშორისო კლინიკური გაიდლაინის ადაპტირება და დანერგვა ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ხარისხიან ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- მეორადი და მესამედი ჯანდაცვის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ტრანსგენდერობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ზემოთქმულის გარდა,

- აუცილებელია ტრანსგენდერ ადამიანთა სოციალური საჭიროებების შესწავლა და მათი ადეკვატური ასახვა სახელმწიფო გეგმებსა და ჯანდაცვის სტრატეგიებში;
- ტრანსგენდერი აქტივისტების, უფლებადამცველების ჩართულობის უზრუნველყოფა ყველა პროცესში.

ტერმინოლოგია

გეი - ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვით-იდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქედან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი, ინტერნალური მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ" და „ფემინურ" ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებასა და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის, ან გენდერულ იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებთან" და „შესაბამისობებთან". გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება, გამოვლიდნეს იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა ადამიანი საკუთარი დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია - დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ დისტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ინტერსექსი – ადამიანი, რომლის ანატომია არ შეესაბამება ისეთ ბიოლოგიურ სტანდარტებს, რომელიც აღიარებს მხოლოდ ორ სქესს – მამრი და მდედრი. ინტერსექსუალობა არ თავსდება მხოლოდ მდედრის ან მხოლოდ მამრის ბიოლოგიურ მახასიათებლებში, რაც შეიძლება, გამოიხატოს როგორც ქრომოსომულ ან ჰორმონულ, ასევე გენიტალიურ დონეზე. ინტერსექსუალობა შეიძლება, დაბადებისთანავე შესამჩნევი იყოს ან მოგვიანებით განვითარდეს.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტი – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი ადამიანების აღსანიშნავად.

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) - ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე - იდენტობას.

გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სქესი - მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრის და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრავესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროს-დრესერებს და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი მამაკაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს საკუთარი თავის, როგორც მამაკაცის, იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ მამაკაცებს ასევე უწოდენებ FtM -ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითიდენტიფიკაციას ახდენს, როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF- (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას.

ქალი, რომელსაც სექსი აქვს ქალთან (WSW) - ეპიდემიოლოგიური კატეგორია, რომელიც უფრო სექსუალურ ქცევას შეესაბამება, ვიდრე - იდენტობას გამოიყენება ყველა იმ ქალის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ ქალთან განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა (European Parliament resolution on homophobia in Europe. P6_TA(2006)0018. 18 January 2006).

დანართები

დანართი N1. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკანონმდებლო ნორმებისა და პრაქტიკების მოკლე მიმოხილვა

მომზადებულია „License to Be Yourself. Laws and Advocacy for Legal Gender Recognition of Trans People"-ის მიხედვით[145]

გენდერის სამართლებრივი აღიარების კანონი/სამართლებრივი პრაქტიკა დაფუძნებულია გენდერულ თვითაღქმაზე, პათოლოგიზაციისა და შესაბამისი დიაგნოზის მოთხოვნის გარეშე

არგენტინაში 2012 წელს მიღებული ტრანსგენდერი ადამიანებისათვის გენდერულ იდენტობასა და ჯანმრთელობაზე მრავალმხრივი ზრუნვის კანონი („გენდერული იდენტობის კანონი") საშუალებას აძლევს ადამიანს, მოითხოვოს საბუთებში სქესის შესახებ ჩანაწერის, სახელისა და ფოტოსურათის შეცვლა იმისათვის, რომ ეს მარკერები დაემთხვას მის თვითაღქმას (მუხლი 3). ამისათვის არავითარი სამედიცინო პროცედურა, ექიმის მოსაზრება ან ჩვენება არ არის საჭირო (მუხლი 4).

ინდოეთში დიაგნოზი ყოველთვის არ არის აუცილებელი ჰიჯრებისთვის საბუთებში სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელად ან მეტიებისთვის იმისათვის, რომ ნეპალის მოქალაქის ბარათში „სხვა" ჩაეწეროთ მდედრობითის ან მამრობითის ნაცვლად. თუმცა, ბუნდოვნად რჩება, რა სამართლებრივი სტატუსი აქვს ამ დოკუმენტებს სხვა შემთხვევებში და ვის მიუწვდება ხელი მათ მიღებაზე. ტრანსგენდერ ადამიანებს, რომლებსაც სურთ მდედრობითიდან მამრობითზე ან პირიქით შეიცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი, როგორც წესი, მოეთხოვებათ გენდერული იდენტობის დარღვევის დიაგნოზის მიღება.

ირლანდიაში შესაბამისი კანონპროექტი შეკითხვებს აჩენს: მაშინ, როცა დიაგნოზი არ არის საჭირო, აპლიკანტის დეკლარაციას უნდა მოჰყვებოდეს პირველადი რგოლის მკურნალი ექიმის განცხადება, „რომელიც ადასტურებს, რომ ადამიანი ტრანზიციას გადის... და რომ ის კმაყოფილია და სრულად აცნობიერებს თავის გადაწყვეტილებას, მუდმივად იცხოვროს" იმ გენდერში, რომელსაც ირჩევს.

საპასპორტო მონაცემები, მაგრამ არა დაბადების მოწმობა, შეიძლება, შეიცვალოს დიაგნოზისა და ნებისმიერი სხვა სახის სამედიცინო ინფორმაციის გარეშე ახალ ზელანდიაში. ერთადერთი კრიტერიუმი არის ადამიანის გენდერული თვითაღქმა.

რიგი სხვა ქვეყნებისა, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვს ექიმის მიერ გაცემულ თანმდევ დოკუმენტაციას პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელვად, იყენებს ზოგად ფორმულირებებს

145 OSI 2014, License to Be Yourself. Laws and Advocacy for Legal Gender Recognition of Trans People.

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს დიაგნოზის ან მკურნალობის მოთხოვნა. ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სარეკომენდაციო წერილი ეხება „შესაბამის კლინიკურ მკურნალობას“. ორივე ქვეყნის მთავრობა უზრუნველყოფს ძალიან მსგავს ფორმულარს ამ წერილისთვის. ეს არ აძლევს საშუალებას სამედიცინო პერსონალს, გააზიარონ დამატებითი სამედიცინო ინფორმაცია იმისათვის, რომ მოხდეს აპლიკანტის პირად მონაცემთა დაცვა. 2013 წლის ნოემბერში ავსტრალიის ფედერალური ტერიტორია გახდა ავსტრალიის პირველი შტატი, რომელმაც შემოიღო იმავე ტიპის სამართლებრივი ბარიერი ასევე დაბადების მოწმობების შეცვლასთან დაკავშირებით. აქტივისტები მიესალმნენ ამ ცვლილებას, რომელიც აუქმებს ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის საჭიროებას სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლისათვის.

გაერთიანებულ სამეფოში შესაძლებელია შეიცვალოს საპასპორტო მონაცემები დიაგნოზის გარეშე, მოქმედი ექიმისგან გაცემული ანგარიშის საფუძველზე, რომელიც „ადასტურებს ადამიანის საჭიროებას, იცხოვროს სხვა გენდერით“.

დანიაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანს შეეძლება, შეიცვალოს სქესის შესახებ ჩანაწერი სამოქალაქო რეესტრში, მხოლოდ და მხოლოდ პირადი დეკლარაციის საფუძველზე, სადაც განმარტებულია, რომ მისი გენდერი არის რეგისტრირებული გენდერის საპირისპირო. მესამე პირის ჩარევა ამ პროცესში საჭირო არ არის. სქესის შესახებ ჩანაწერი შეიცვლება 6 თვის შემდეგ, როდესაც აპლიკანტი დაადასტურებს მას და ასევე მოხდება დადასტურება იმისა, რომ განაცხადი არ იქნა გაკეთებული იმპულსზე დაფუძნებით ან რამე დანაშაულის დაფარვის მიზნით.

გენდერის სამართლებრივი აღიარების კანონი/სამართლებრივი პრაქტიკა არ ითხოვს იძულებით სტერილიზაციას

არგენტინის გენდერული იდენტობის კანონის მეოთხე მუხლი ამბობს: „არავითარ შემთხვევაში არ იქნება საჭირო გენიტალიური კვლავმინიჭების სრული ან ნაწილობრივი ქირურგიული ოპერაციის, ჰორმონული თერაპიის ან რამე სხვა ფსიქოლოგიური ან სამედიცინო მკურნალობის გავლის დადასტურება“.

სამხრეთ აფრიკაში 2003 წელს მიღებული სქესის აღწერისა და სქესობრივი სტატუსის შეცვლის კანონი თეორიულად არ მოითხოვს სპეციფიკურ სამედიცინო ჩარევებს. ეს იმიტომ ხდება, რომ კანონში მოცემული ფართო დეფინიციები მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომლებმაც საკუთარი გენდერული მახასიათებლები და თვითგამოხატვა შეცვალეს ფიზიკური ცვლილებების გარეშე. სამედიცინო ანგარიში, რომელიც ადასტურებს ტრანსგენდერი ან ინტერსექსი პირის მიერ გავლილ ნაბიჯებს, შეიძლება, გაიცეს ნებისმიერი ადამიანის მიერ, რომელსაც უფლება აქვს, აწარმოოს სამედიცინო საქმიანობა. ეს მოიცავს ასევე ტრადიციულ მკურნალებს. სამწუხაროდ, პრაქტიკაში სქესის კვლავმინიჭების ოპერაციის დასტური,

უმეტეს შემთხვევაში, საჭირო ხდება სამხრეთ აფრიკაში.

ბოცვანაში ასევე შესაძლებელია სასამართლოსათვის მიმართვა გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის, სამედიცინო ტრანზიციის დოკუმენტირებული მტკიცებულების საფუძველზე. ეს არ მოითხოვს სტერილიზაციას.

უნგრეთში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში არ არის სტერილიზაციის მოთხოვნა სქესის სამართლებრივი აღიარებისთვის.

2009 წელს ავსტრიის ადმინისტრაციულმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სქესის სამართლებრივი აღიარებისთვის გენდერის კვლავმინიჭების აუცილებელ პირობად დაყენება უკანონოა. გერმანიაში 2011 წელს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სქესის სამართლებრივი აღიარებისთვის გენდერის დადასტურების ოპერაციების ჩატარება პერმანენტული სტერილურობის დასამტკიცებლად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მსგავსი ოპერაციები წინააღმდეგობაში მოდის სქესობრივი თვითიდენტიფიკაციისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებასთან.

მთელ რიგ იურისდიქციებში, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვს რამე ტიპის სამედიცინო ან ქირურგიულ ჩარევებს, სასამართლო საქმეები ფოკუსირდება განსაკუთრებით მაღალ ზღურბლზე, რომელსაც „გენდერის სრული კვლავმინიჭება“ უყენებს ტრანს კაცებს. ახალ ზელანდიაში ოჯახის სასამართლომ და დასავლეთ ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტრანსგენდერმა კაცებმა უნდა შეძლონ სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლა გენიტალიების ქირურგიული შეცვლისა და რეპროდუქციული ორგანოების მოცილების გარეშე.

გენდერის სამართლებრივი აღიარების კანონი/სამართლებრივი პრაქტიკა არ ითხოვს ადამიანის მიერ პერმანენტულად ან განგრძობითად რომელიმე გენდერში ცხოვრებას

ისტორიულად გენდერის აღიარების კანონები ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრანზიციის სამედიცინო პროცესთან. სამედიცინო პერსონალი, როგორც წესი, მოითხოვდა ტრანსგენდერი ადამიანებისგან, რაღაცა პერიოდის განმავლობაში ეცხოვრათ მათთვის სასურველ გენდერში, სანამ მათ შეეძლებოდათ ჰორმონული თერაპიის ან ოპერაციების დაწყება. ამას მოიხსენიებდნენ, როგორც ტრანსგენდერი ადამიანის „ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებას“. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროცედურა იყო ასევე სქესის სამართლებრივი აღიარების პრერეკვიზიტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხებში. თუმცა 1986 წლიდან ის „ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია ლეგალური ზომების საჭიროების საკითხი გადახედვას ექვემდებარებოდეს სამეცნიერო და საზოგადოებრივი განვითარების გათვალისწინებით“.(Goodwin v.UK,2002) ორი ასეთი

განვითარება არის რელევანტური ჩვენს შემთხვევაში. პირველ რიგში, დღეს ბევრი გენდერული აღიარების კანონი და პოლიტიკა ვითარდება ტრანზიციის სამედიცინო პროცესზე დაყრდნობის გარეშე. მეორეც, ტრანსგენდერი ადამიანების ჯანმრთელობის მსოფლიო პროფესიული ასოციაციის „ზრუნვის სტანდარტები" ჩამოშორდა „ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილების" ფოკუსს. ამგვარად, მსგავსი ფოკუსი ვერ იქნება შესაფერისი გენდერული აღიარების კანონებში.

არგენტინის გენდერული იდენტობის კანონი არ მოითხოვს, რომ ადამიანს ჰქონდეს „პრაქტიკული გამოცდილება", იცხოვროს მისი გენდერული იდენტობის შესაბამის გენდერულ როლში. ის ასევე არ ითხოვს ადამიანისგან იმის დადასტურებას, რომ გენდერის შეცვლის გადაწყვეტილება პერმანენტულია. ის ასევე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სქესის შესახებ ჩანაწერი მომავალში შეიცვალოს (მუხლი 8).

მაშინ, როცა გენდერული იდენტობის კანონი No. 7/2011 პორტუგალიაში მოითხოვს გენდერული იდენტობის დარღვევის დიაგნოზს, ის საჭიროდ არ თვლის სპეციფიკურ სამედიცინო ჩარევებს ან „ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებას". ეს უკანასკნელი, შეიძლება, ნაგულისხმევი იყოს დიაგნოზში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი სტანდარტებით ხელმძღვანელობს მულტიდისციპლინარული კლინიკური გუნდი, რომელიც შესაბამის დიაგნოზს გასცემს.

გენდერის სამართლებრივი აღიარების კანონი/სამართლებრივი პრაქტიკა იძლევა მესამე სქესის/გენდერის არჩევის საშუალებას

1990-იანი წლებიდან ახალ ზელანდიაში ტრანსგენდერ ადამიანებს შეუძლიათ, შეიცვალონ სქესის შესახებ ჩანაწერი პასპორტში და აირჩიონ „განუსაზღვრელი" მას შემდეგ, რაც ისინი ტრანზიციას დაიწყებენ. შესაბამისი აპლიკაციის შევსების შემდეგ ტრანსგენდერ ადამიანს შეუძლია, მოითხოვოს, რომ მისი სქესის შესახებ ჩანაწერი შეიცვალოს X-ით.

ახალი ზელანდიის ოფიციალური განცხადების პროცესი კიდევ უფრო გამარტივდა 2012 წლის ნოემბერში. ამჟამად ახალი ზელანდიის ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, აირჩიოს სამიდან (მდედრობითი, მამრობითი და X) ნებისმიერი გენდერული მარკერი პასპორტისთვის, მხოლოდ და მხოლოდ მათი გენდერული თვითაღქმის საფუძველზე. 2012 წლის ივნისიდან ახალი ზელანდიის მართვის მოწმობებისთვის იგივე პროცედურა იქნა შემუშავებული , მიუხედავად იმისა, რომ გენდერი მხოლოდ შიდა მონაცემთა ბაზაში ინახება და არ ჩანს თავად მოწმობაზე.

არავითარი სამედიცინო პროცედურა ან რამე სახის მტკიცებულება არაა საჭირო ზრდასრული ტრანსგენდერი ადამიანებისათვის ამ პროცესების გასავლელად. თუმცა, 18 წლამდე ასაკის ტრანსგენდერი ადამიანებისთვის საჭიროა ორი სარეკომენდაციო წერილი (კანონიერი მეურვისა და ფსიქოლოგის ან ექიმისგან).

ავსტრალიაში 2003 წლიდან არის შესაძლებელი ინტერსექსი ადამიანებისათვის სქესის შესახებ ჩანაწერი შეიცვალონ პასპორტში და აირჩიონ X, თუკი მათ დაბადების მოწმობაში აღნიშნულია, რომ სქესი დადგენილი არ არის. 2011 წლიდან ავსტრალიის პასპორტების გაცემის პოლიტიკა გამარტივდა და გავრცელდა ნებისმიერ ტრანსგენდერ და ინტერსექს ადამიანზე. ერთადერთი მოთხოვნა აქ არის სარეკომენდაციო წერილი მოქმედი ექიმისგან, რომელიც ადასტურებს, რომ ადამიანი ან ინტერსექსია ან „იღებს (ან იღებდა) შესაბამის კლინიკურ მკურნალობას გენდერული ტრანზიციისთვის“.

ნეპალში მოქალაქის ბარათი გაიცემა ზრდასრულ კაცებსა და ქალებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ბენეფიტებზე მიუწვდებოდეთ ხელი. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ამ ბარათებს არ აძლევენ „მეტიებს“, რომლებსაც სურთ, დარეგისტრირდნენ, როგორც მესამე გენდერი. ეს პოლიტიკა შეიცვალა 2007 წელს უზენაესი სასამართლოს განაჩენის შემდეგ. სასამართლომ ოფიციალურად დაადგინა „მესამე გენდერის“ კატეგორიის არსებობა. სასამართლო განაჩენის სისრულეში მოყვანის პროცესი ნელი იყო. მხოლოდ 2013 წელს შეძლეს პირველმა მეტიებმა, მიეღოთ მოქალაქეთა ბარათი შეცვლილი გენდერული მარკერით.

გენდერის სამართლებრივი აღიარების კანონი/სამართლებრივი პრაქტიკა მოიცავს ინტერსექს ადამიანებს

ზოგიერთ ქვეყანას აქვს ცალკე სამართლებრივი პოლიტიკა ინტერსექსი ადამიანებისათვის, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეიცვალონ გენდერის შესახებ ჩანაწერი დოკუმენტებში. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რესურსი არ განიხილავს ინტერსექს საკითხებს, არსებობს საშუალება იმისა, რომ პროგრესი ტრანსგენდერი ადამიანებისათვის გენდერის სამართლებრივი აღიარების კუთხით ასევე ინკლუზიური იყოს ინტერსექსი ადამიანებისადმი. ქვემოთ მოვიყვანთ ამის რამდენიმე მაგალითს.

